წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | სამშაბათი, 24 იანვარი, 1917 წ. № 18

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ.; ... განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

# 1916 წლის
# მეორე სამხედრო სესხი

რუსის სალდათის მარტოოდენ მხნეობა და მამულის უსაზღვრო სიყვარული არა კმარა მტერზე გასამარჯვებლად.

## ომისა და გამარჯვებისათვის საჭიროა დიდძალი ფული და ეს ფული მთელმა ქვეყანამ უნდა გაიღოს.

ამიტომ სესხზე ხელისმოწერაში მონაწილეობის მიღება ისეთივე წმიდა მოვალეობაა სამშობლოს წინაშე, როგორც სალდათისათვის თავის პოსტზე მამაცად დგომაა.

## ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა
## კავშირის
**კანტორა გადავიდა ახალ ბინაზე კრილოვის ქუჩა № 10**

**კავშირმა მიიღო:** ლობიო, სისირი, მაკარონი.
**საწყობში არის:** ასანთი, ჩაი ძველ ფასებში; ბრინჯი აქულის, ხანის, ერევნის. შესახვევი ქაღალდი ყველანაირი.
**კავშირმა გაგზავნა კაცი სიმინდის შესაძენათ.** ვთხოვთ მომხ. საზ. შეგვატყობინონ: სად, რამდენი და როგორი სიმინდი სჭირიათ.
(2—580—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
**სამშაბათს, 24 იანვარს,**
## სინემატოგრაფი
**სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

მოიკითხეთ ყველგან




გ. ლეონიძის
რედაქტორობით

„საფირონი“ ისყიდება: „საქართველოს“ რედაქციის კონტორაში, ახალ კლუბის შესავალში—სვიმონას კიოსკში, „ცოდნა“-ს მაღაზიაში, ქ. შ. წ.-კ. საზ. მაღაზიაში და ზოგიერთ მეგაზეთეებთან, პროვინციაში დაგზავნილია ცნობილ აგენტებთან.
**ფასი 40 კაპ.**

## მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
იუმორისტულ ჟურნალ
## „ეშმაკის მათრახ“-ზე
ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს.
(უ.)

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

**მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი,** სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
**ერლიხის „914“ და „606“**
შეშხაპუნება

ექიმი
## მ. ი. ვაჩნაძე
**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ—202—)

ექიმი
## ივანე თიკანაძე
**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება** საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ექიმი
## პ. ი. გვარჯალაძე
**შინაგან და ბავშვთა სნეულებიან**
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

## ვასწავლი
**ქართულ სიმღერა-გალობას**
და
ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს დიდ დ მუდმივ სახალხო გუნდისათვის.
**მიღება და ჩაწერა**
**კავსაძესთან**
**მისამართი:** ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესია.
სამშაბათობით დ პარასკეობით
**საღამოს 6—9 ს.-დე.**

ექიმი
## მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
**უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.**
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმმა
## გ. მ. მუხაძე
**იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ**
საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
**მისამართი:** დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## შიმშილობა.

მრავალგვარი უცნაურობა გვჭირს საზოგადოებრივსა, ოჯახურსა თუ პირადს ცხოვრებაში, მაგრამ ამას, სამწუხაროდ, ვერა ვგრძნობთ, და, თუ ვგრძნობთ, ალბად მნიშვნელოვან ცვლილებისთვის ძალა არ შეგვწევს და ასე „ძველებურად და ჩვენებურად“ ტრიალებს ჩვენი ცხოვრების ჩარხი.

მოგახსენებთ ცხოვრების სინამდვილესა და მის რეალ საჭიროებებზე, თორემ პროგრამებისა, პროექტებისა და „ლოზუნგების“ ნაკლებობას ჩვენში არავინ დაემდურება? ჩვენს პატარა სამშობლოს კი არა, სიტყვით და ოცნებით მთელს მსოფლიოს გარდავქმნით და საყოველთაოდ სამოთხეს დავამყარებთ დღევანდელი ჯოჯოხეთის ნაცვლად. ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ ამ დიდს სიტყვებსა და ბედნიერ სურვილებს საქმიანობისა და გარჯილობის მეასედ ნაწილს მაინც გავატანდეთ თან.

მაგალითად, ავიღოთ ჩვენი ხალხის გამოკვების საკითხი. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი ერი მუდმივ სიმშილობას განიცდის და წლითი წლობამდე უარესს და უარესს გაჭირვებას. მომავალი წელი ხომ კიდევ უფრო სახიფათოა ამ მხრივ ჩვენთვის, ვინემ გასული, რომელმაც ასეთი სიმწარე მიაყენა, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს. ამ ჟამად ჩვენს ქვეყანაში თითქმის სრულიად აღარ დარჩა მუშა ხელი. მუშა საქონელიც ზოგი ჭირმა გაწყვიტა და ზოგიც ადამიანმა. ვინ დაამუშავებს ყანებს? შარშან თუ დიდი სიმშილობა იყო და ფუთ სიმინდის ფასი ორ მანეთს ზევით თუ არ ასცილებია და წრეულს, შედარებით, სიმინდის რიგიან მოსავლის შემდეგ, ფუთი სიმინდი უკვე ხუთ მანეთს აღწევს, რა უნდა იქნეს დამდეგ წელს, როდესაც ბევრად ნაკლებს დავთესთ და მოვიყვანთ?

შარშან კი, გვგონია, არ დარჩენილა რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელსაც ფიცი არ მიეღოს, რომ ის თავს დასდებს მომავლისთვის ჩვენის ქვეყნის გამოკვების საკითხის მოსაწესრიგებლად. ამის შესახებ წერას, ბჭობას, მოლაპარაკებას ხომ დასასრული არ ჰქონდა. სიტყვა-დაპირებათა ამ საშინელ კორიანტელის შემდეგ ერთი ფუთი სიმინდი მაინც შეეძინა ჩვენს ქვეყანა?! საზოგადოებებს დაავიწყდათ, ჩვეულებისამებრ, თავის დადგენილება და კერძო პირებმაც, ალბად, სხვა უფრო „დიადი“ და ქართველურ ხასიათისთვის უფრო შესაფერისი საზრუნავი გაიჩინეს, ვინემ სიმინდისა და პურის ძიება. აი ეხლაც მოგვდის სოფლებიდან ცნობები, უპატრონოდ მიტოვებული ქალები და ბავშვები საოცარს გაჭირვებას და სიმშილს განიცდიანო და, საუბედუროდ ჩვენდა, იჭვი არ არის, ასეთი ცნობები კიდევ უფრო გაგვიხშირდება. არც ის არის საეჭვო, რომ ჩვენი გულჩვილი და მგრძნობიარე საზოგადოება ამას გამოეხმაურება.

კვლავ ატყდება წერილებისა, სიტყვებისა და ფიცი-მტკიცის კორიანტელი. დავწერთ იმას, რასაც მტკიცება და საბუთი არა სჭირია, ვიტყვით, რაც გვითქვამს მრავალგან და მრავალჯერ... როდის მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სიმშილობის საწინააღმდეგო წამალი და ერთად-ერთი წამალი სიტყვა და დაპირება კი არ არის, არამედ პური. პური და სიმინდი ჩვენში არ არის, სხვაგან ის ბლომადაა. ამის შესაძენი ფული ხალხს საძებარი არ აქვს, ფული სოფლადაც კი ბევრი მოიპოვება; მაგრამ საქონელს მოტანა უნდა, ეს კი მთავრობასთან შუამდგომლობას და მაცადინობას მოითხოვს. აქ არის დამარხული უმთავრესი სიძნელე, მაგრამ თუ კი ცდა და მეცადინეობა ყოფილა, არამც თუ საპატიო დაწესებულებები, არამედ კერძო

პირებსაც, და არა თუ დამშეულის გამოსაკვებად, არამედ ფუფუნებისა და, ვინ იცის, ვისთვის, საჭირო საქონლის შემოტანა მოურიგებიათ.

აბა ვინ გაკადნიერდება და საწინააღმდეგოდ ენას დასძრავს, თუ ჩვენ ღირსეულად მოვითხოვთ პურს, იმათთვის, ვისი მარჩენლები შორეულს ქვეყნებში სახელმწიფოსთვის სამსხვერპლოდ განმზადებულან?

აბა სხვას ვის უნდა შემთხვეს იმის მსგავსი, რაც ჩვენ დღესა გვჭირს? ქალაქებს პური არ აქვთ და მოქალაქეთა დიდი ნაწილი სიმინდით იკვებება, და ეს სიმინდი კიდევ სოფელს აკლდება. სიმინდის ფასი საოცრად მატულობს. ამავე დროს მთავრობა განკარგულებას ახდენს, რომ ჩრდილო კავკასიიდან, საიდანაც მხოლოდ შესაძლოა ჩვენში სიმინდის შემოტანა, სიმინდის სხვაგან გაზიდვა აიკრძალოსო. სიმინდი მხედრობას სჭირია ცხენების საკვებადაო... ჩრდილო-კავკასიიდან არა ერთი და ორი მილიონი ფუთი სიმინდი გაიტანებოდა და ვინ გამოიკვლია, აქედან რამდენია საჭირო ცხენებისათვის, რომ დანარჩენი მაინც მიაწოდონ ამ ცხენებზე მჯდომთა დამშეულ ცოლ-შვილს?

საოცარი ბოროტება და დანაშაულია, რომ ხმა ვერავის ამოუღია ასეთ განკარგულების წინააღმდეგ. კავკასიის უმაღლესი მთავრობა მუდამ თანაგრძნობით შეხვედრია ჩვენს საჭიროებას, თუ კი ეს ჩვენ მისთვის შეგვიტყობინებია.

საეჭვოც კი არ არის, რომ ის ასეთს განკარგულებას გამოსცვლის თუ კი თავად-აზნაურობა, საქველმოქმედო ან სხვა რომელიმე ავტორიტეტული ორგანო მას აცნობებს ჩვენის ქვეყნის სასურსათო გასაჭირს?

უბედურებაც სწორედ ის არის, რომ ჩვენ, თვით ასეთს განსაცდელის ჟამსაც ოცნებები და ვარსკვლავთ კრეფა უფრო გვახალისებს, ვინემ დამშეულთათვის სიმინდისა და პურისათვის ზრუნვა.

ე. მალი.

# რუსული პრესა

„რუსკაი ვოლია"-ში მოთავსებულია ნ. ნიკოლაძის ფრიად საყურადღებო წერილი:

„კავკასიის პრობლემები", ავტორი ამბობს:

„კავკასიის უმთავრესი პრობლემები—რაზედ უნდა დამყარდეს დამოკიდებულება ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის, არამც თუ არ არის გადაჭრილი, არამედ ეს საკითხი კავკასიის და რუსეთს შორის დამოკიდებულების დაწყებიდან დღემდის არც კი წამოუყენებიათ".

ავტორს მოჰყავს მაგალითები მთავრობის მიერ კავკასიის ცხოვრების უცოდინარეობისა და მის საჭიროებისადმი უყურადღებობისა და დაასკვნის:

„უნდა ვისწავლოთ ჩვენს ახალ მეგობრებ ინგლისელებისაგან, თუ როგორ უნდა მეტროპოლიის ძლიერების შექმნა განაპირა ქვეყნების გრძნობისა და გონების მიხედვით. განსვენებულმა ე. ი. ლამანსკიმ ჩვენ კარგი ჭკუის მასწავლებელი წიგნი დაგვიტოვა, ინდოეთში ინგლისელების შემოქმედებაზე. ის გვამცნობს, თუ როგორ მშვიდობიანად განაგებს რამოდენიმე ათასი ევროპიელი ქვეყანას, სადაც სამასი მილიონი მცხოვრებია. აქ კი შეგვძლიანთ მთელი ამიერ-კავკასია გაიაროთ კიდით-კიდე და ფაბრიკის ერთ საკვამლესაც კი ვერ შეხვდეთ. ეხლანდელ გაცხარებულ საომარ ფაცი-ფუცში, როდესაც ყოველგან ახალს ფაბრიკებს და ქარხნებს აშენებენ, ამ კუთხისთვის არაფერი გაუმეტებიათ. ეს მეტად შორეაო და მიეზიდებიან შუაგულ რუსეთიდან ყოველსავე, რაც მხედრობისთვის და მშვიდობიან ცხოვრებისთვის არის საჭირო და სჩივიან, რომ რკინის გზა მეტად დატვირთულია, რომ ვაგონები არ იშოვება და ყოველივე ძვირად ჯდება. ამას ეკონომია ჰქვია.

გასაგები იყო უნდობლობა და იჭვიანობა ომამდე, როდესაც კარიერისტები, თავის გულმოდგინების დასამტკიცებლად, თითქმის ყველა განაპირა ქვეყნებს მოღალატედ სახავდენ.

ცნობილია, როგორის მაცდურის წინადადებებით მიმართავდენ კავკასიის უმთავრეს ეროვნებებს გერმანელები, რომელნიც ამ ომისთვის ემზადებოდენ და ამისთვის ყოველგან მოკავშირეებს ეძებდენ. რას არ ჰპირდებოდენ მისი ემისარები მუსულმანებს, სომხებს, თვით ქართველებსაც კი. დადგა ტრაღიკული მომენტი, როდესაც გრძნობები უტყუარად უნდა გამოაშკარავებულიყო. ეს იყო დეკემბრის დამდეგს 1914 წ. ოსმალეთს საღვთო ომი ახლად გამოცხადებული ჰქონდა. ათი მათი დივიზია, ფანატიკურის ვაჟკაცობით აღზნებული და თვით ენვერ-ფაშას მეთაურობით, შემოიჭრა კავკასიაში და დაიკავა მისი საუკეთესო პოზიციები.

მერე რა, შედრკა ვინმე?

არამც თუ ქრისტიანი მცხოვრებნი, მუსულმანებიც კი დარჩნენ ერთგულნი თავიანთის მოვალეობისა. სასოწარკვეთილებისა და შიშისთვის მიზეზი კი იყო. ეს საშინელება გაჰფანტა კავკასიის მხედრობის გმირობამ.

ნუ თუ ასეთ უტყუარ მაგალითის შემდგომაც შეიძლებოდა ადგილობრივის ძალების ორგანიზაციის დაყოვნება? ყოველთვის ხომ არ გვიხსნის ჩვენ ნიკოლოზ სასწაულთ-მომქმედი და „შაითან კაპიტან" ვაშაკიძეების გმირობა?!

# ომის ამბები

## ბრძოლის ველ

გერმანეთის მიერ ბლოკადის გამოცხადებას უკვე დიდი ამბები მოჰყვა. ამერიკამ დიპლომატიური დამოკიდებულობა მოსპო გერმანიასთან და თავისი ელჩი ბერლინიდან იხმო. ჯერ-ჯერობით მაინც ჩვენ ხელთ არაა დანამდვილებით ცნობა, რომ დაიწყება ამ ორ სახელმწიფოთ შორის ომი. ამერიკის გამოსვლა მოკავშირეთა მხარეზე მართლაც დიდი მოვლენაა. ისედაც ძლიერ კოალიციას დღეიდან ერთი უდიდესი და მით ფინანსიურად მდიდარი სახელმწიფო ემატება.

გარდა მორალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობისა, ამერიკის გამოსვლას, უეჭველია, თან მოჰყვება ცვლილება ბრძოლის ველზედაც. უკანასკნელი, რასაკვირველია, ჯარებსაც მიაწვდის და მათი ფლოტიც გვერდით მოუდგება ინგლისისას. ერთი გამოება კია, რომელიც ასე თუ ისე ხელს შეუშლის ამერიკას ფართოდ ომის წარმოებას. როგორც ვიცით, თვით ამერიკაში გერმანელ მცხოვრებთა რიცხვი მეტად საგრძნობლად დიდია. უეჭველია, ეს ელემენტი გულხელ-დაკრეფილი არ იჯდება და ყოველ ღონეს ილონებს ყოველნაირად გაართოს საქმე ამერიკას და ხელი შეუშალოს ბრძოლაში. არა ერთხელ ასულა ცნობა შესახებ იმისა, თუ რა ომებს მიჰმართავდნენ ხოლმე გერმანელები ამერიკაში, რომ როგორმე ხელი შეეშალნათ ქარხნებისათვის და მოკავშირეთა მიერ შეკვეთილი საქმეები არ აესრულებინათ, არა ერთი ქარხანა აუფეთქებიათ. მათი საქციელი ამერიკის ბირჟაზე ხომ უფრო გასაოცარი და თანაც ზარალიანი იყო მოკავშირეებისთვის. ცხადია, არც ახლა დაიშლიან თავისას და არც არაფერს დაზოგავენ ახლანდელ ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, გერმანეთის ბლოკადას დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია აგრეთვე შვეციასა, ნორვეგიასა, შვეიცარიასა და დანარჩენ ნეიტრალურ სახელმწიფოებში. ნორვეგიის გემებს უკვე აეკრძალათ მიმოსვლა. [illegible] გადაუწყვეტიათ არ დაემორჩილონ გერმანეთის მოთხოვნილებას და კვლავ [illegible] განაგრძონ მენავეობა. [illegible] გერმანეთის ბლოკადა მართლაც რომ ფიქცია ყოფილიყო, როგორც ამას რუსეთის გაზეთები ამტკიცებენ, უეჭველია, ნეიტრალურ სახელმწიფოებში ასეთი განგაში არ ასტყდებოდა.

უფრო მართალი უნდა იყვეს ის ცნობა, რომ გერმანეთის განკარგულებაში ახლა აუარებელი რიცხვია წყალქვეშა ნავებისა. მართლაც დიდი შეცთომა იქნება გერმანეთის მხრივ სწორედ ახლა ასეთი გაბედული აქტი გამოეცხადებინა, თუ კი მის განსახორციელებლად არავითარი უნარი და ძალა არ შესწევს. ეს პირდაპირ მორალური სიკვდილი იქნება. ეტყობა, არც თვით ინგლისის მთავრობა უყურებს ზოგიერთივით ზერელედ და ყოველგვარ ზომებსაც იღებს მტრის წინააღმდეგ. ადრევე მათ გადაუწყვეტიათ შეაიარაღონ ყველა სავაჭრო გემები და მასთანვე ნაღმებით გაავსონ ჩრდილოეთის ზღვა, რომ ამ რიგად ხელი შეუშალონ წყალქვეშა ნავების გამოსვლას.

X.

## ომის დეპეშები

22 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის დასავლეთით კემერნის სამხრეთ მიდამოებში გერმანელების საფრენიდან ნასროლმა ყუმბარამ 10 ჯარის კაცი იმსხვერპლა. რიგის დასავლეთით, კალნცემის აღმოსავლეთით მდებარე ჩვენს სანგრებზე, ზარბაზნების მედგარი დაშენის შემდეგ, გერმანელები იერიში მიიტანეს. თუმცა სროლით შევაჩერეთ, მაგრამ ჩვენმა მარჯვენა ფრთამ ცოტა უკან დაიხია და მერე მარქაფა ჯარის დახმარებით ჩვენი მდგომარეობა აღვადგინეთ. გერმანელებმა კიდევ ორჯელ მოიტანეს იერიში, მაგრამ მოვიგერიეთ. აქ დიდად ხელი შევიწყო ჯავშნიანმა ავტომობილმა. იაკობშტატის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გერმანელების მფრინავმა კრეიცბურგის სადგურზე ყუმბარები დააყარა სწრაფ მატარებელს, თუმცა ზიანი არ მიუყენებია. დაბა პოსტოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. გოგოვეს მტრის საფრენმა გადაუარა, ყუმბარები ესროლა და 2 ჯარის კაცი იმსხვერპლა.

პოლკოვნიკი მაჟნოვი 17 იანვარს ბრძოლის დროს მოწინავე სანგრებში დადიოდა. მძიმედ დაიჭრა და როდესაც გერმანელებმა შემოგვიტიეს და მის პოლკს უკან დაახევინეს, გმირულად მოკვდა, ან მძიმედ დაჭრილი დატყვევდა.

**რუმინეთის ასპარეზზე** ორივე მხრივ სროლაა.

**კავკასიის ასპარეზზე** ადგილ-ადგილ ქარი ჰქრის და თოვლი ჰბარდნის.

**შავი ზღვა.** ანატოლიის სანაპიროებთან მტრის 18 იალქნიანი ნავი დავა[illegible]უპეთ.

23 იანვარი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ტირულის ჭაობების აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ ზარბაზნის მედგარი დაშენის შემდეგ, გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ სროლით გავფანტეთ. დილის 7 საათზე, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, გერმანელებმა კვლავ განაახლეს შემოტევა, მაგრამ კვლავ შევაჩერეთ. ტირულის ჭაობებსა და მდ. აას შუა მოპირდაპირემ რამდენჯერმე განაახლა შემოტევა, მაგრამ მოვიგერიეთ. კალნცემის გზატკეცილის აღმოსავლეთით, დილის 5 საათზე, ზარბაზნების ძლიერი სროლის შემდეგ, იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ სროლით შევაჩერეთ. დილის ცხრის ნახევარზე მოპირდაპირე ხელმეორედ წამოვიდა იერიშით უფრო ძლიერი ჯარით კალნცემის შარაგზის აღმოსავლეთით მათ მოახერხეს ზოგიერთ ჩვენს სანგრებში შემოჭრა, მაგრამ დილის 11 საათზე ფრთიდან შევუტიეთ და ჩვენი მდგომარეობა გამოვასწორეთ. ამის შემდეგ იერიში მივიტანეთ ს. კალნცემის ჩრდილო-აღმოსავლეთით თავმოყრილ ჯარზე. გერმანელები უბრძოლველად გაიქცნენ, რის შემდეგაც ჩვენი ჯარი თავის სანგრებს დაუბრუნდა. რიგას ჩრდილო-აღმოსავლეთით, როდენპელის სადგურს გერმანელმა მფრინავმა ყუმბარები დაუშინა; ზიანი არ მიუყენებია.

**რუმინეთის ასპარეზზე** სროლაა.

**კავკასიის ასპარეზზე** მზვერავთა მოქმედებაა. თოვლის ბუქია.

## ინგლისი

22 იანვარი.

**ლონდონი.** ინგლისის ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზისა. ბომონგამელის ჩრდილოეთით ჩვენი საქმე ცოტა გაუმჯობესდა. გრანკურის მახლობლად გერმანელების შემოტევა დილით შევაჩერეთ. ნევილ-სენ-ვაასტის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოულოდნელად თავს დავესხით მოპირდაპირეს და გავიმარჯვეთ, ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. არმანტიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით და იპრის აღმოსავლეთით ღამე და დილით მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. ვესტხოოტეს მახლობლად, თეთრ ჩადრებში გხვეულმა გერმანელების ძლიერმა ჯარმა ორჯელ მოიტანა იერიში, მაგრამ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. აქ ტყვეებიც წამოვიყვანეთ. იპრის სამხრეთით გერმანელებმა ჩვეულებრივზე უფრო მედგრად ასტეხეს ზარბაზნების სროლა. იანვრის განმავლობაში ხელთ ვიგდეთ 1228 მეომარი, მათ შორის 27 ოფიცერი.

**ლონდონი.** საღამოს ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზისა. გედეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით სომას ხაზზე, მარჯვედ შევუტიეთ მოპირდაპირეს და ხელთ ვიგდეთ 66 ჯარის კაცი, მათ შორის 2 ოფიცერი. გომკურას მახლობლად მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. ბუშავენის აღმოსავლეთით მოპირდაპირის საწყობები გავანადგურეთ. გუშინ 4 საფრენი დაგვაკლდა.

23 იანვარი.

**ლონდონი.** ინგლისის მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა საფრანგეთის ასპარეზისა. ბუშევენის აღმოსავლეთით გერმანელების შემოტევა უკუვაგდეთ და მათი [illegible] დროს დიდი ზიანი მივაყენეთ. არმანტიერის სამხრეთით ბრძოლის ხაზზე რამდენიმე გერმანელი დავატყვევეთ. იპრის აღმოსავლეთით გერმანელებმა ნაღმი აგვიფეთქეს და [illegible] ზარალი მოგვაყენეს. [illegible] მოწინავე ორმო ჩვენ დავიჭირეთ. სომას ჩრდილოეთით, ბოკურისა, არასისა და არმანტიერის მეზობლად, მარჯვედ ვუშენდით ზარბაზნებს მტრის სანგრებს. გუშინ გერმანელების 2 საფრენი გავანადგურეთ, ორიც დავაზიანეთ. ჩვენ 3 საფრენი დაგვაკლდა.

## საფრანგეთი

22 იანვარი.

**პარიზი.** საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში, სენ-ჟორჟის მიდამოებში მტრის შემოტევა უნაყოფოდ დარჩა. აპრემონის ტყეში ზარბაზნებით დავანგრიეთ გერმანელების სიმაგრეები.

**პარიზი.** მთავრობის ახალი გეგმით 16—60 წლის ჯანსაღი მოქალაქენი უნდა გაიწვიონ ეროვნულ თავდაცვისა და ეკონომიურ განვითარების მოსაწესრიგებლად.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. ბეზონვეს მიდამოებში ხელთ ვიგდეთ ტყვეები. მტრის ორი საფრენი ჩამოვაგდეთ, ერთი—ულშანის მახლობლად, მეორე ბუა-საბლენის მახლობლად, ბორიეს მიდამოში.

**პარიზი.** მახლობელ აღმოსავლეთის ოფიც. ცნობა. სტრუმა-დოირან-ვარდარის ხაზზე და მონასტირის ჩრდილოეთ მიდამოებში ზარბაზნების სროლაა. სერესის სამხრეთით, დოირანის ტბის მახლობლად და ცრნისთან, მზვერავთა შეჯახებანი იყო.

## იტალია

22 იანვარი.

**რომი.** იტალიის ოფიციალური ცნობა. გარდის ტბის დასავლეთით და პალი-პიკოლეროთან, შაპოტის მთის ქედზე, მტერი მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს. იულის ალპების ხაზზედაც საკმაოდ ძლიერ გვიშენდა ზარბაზნებს. კარსოზე სროლით გავფანტეთ მტრის მუშები პიცლიის მიდამოებში.

**რომი.** იტალიის ოფ. ცნობა. პოზინის (ასტიკო) დასწვრივ, მონტე-მანის ჩრდილოეთ ფერდობებზე იერიში მივიტანეთ მტრის მოწინავე სანგრებზე და 11 კაცი დავატყვევეთ. სუგანის ველში მტერი ზარბაზნებს უშენდა მონტე-ლევსეს სანგრებს ოსპედოლეტოს მიდამოებში და პოზინის ველში; აქ მახრჩობელა გაზიან ყუმბარებსაც გვიშენდა, თუმცა უნაყოფოდ.

**რომი.** იტალიის ოფიც. ცნობა. ტრენტინოს ასპარეზზე, სუგანის ველში ცხარე სროლაა ზარბაზნებისა. ტონალეს ხეობაში, ბარკოლოლის მახლობლად, ასტიკოსა და მორმოლადის (ავიზიო) ველში, ტაფანის ბოიტეს მიდამოში [illegible] მზვერავებთან შეჯახება გვქონდა, ყველგან დაზარალებული უკუვაგდეთ. იულის ალპების ხაზზე მტერი 18 იანვარს ღამე მედგრად გვიშენდა ზარბაზნებს გორიცის აღმოსავლეთით, მაგრამ ზარბაზნებით ჩავაჩუმეთ. მონტე-გერმადის თირთოპზე მტრის სანგრები ზარბაზნებით ავაფეთქეთ და ცეცხლი გავუჩინეთ.

# ვისი ბრალია?

(ისტორიული ნარკვევი)

1801 წლის 12 სექტემბერს უკანასკნელად დაჰკრა დამოუკიდებელ საქართველოს ზარმა. ამ დღეს გამოცხადდა ალექსანდრე პირველის ცნობილი მანიფესტი, რომლის ძალითაც მრავალ საუკუნოებში არსებულ, ხან თუ დაბეჩავებულ, ხან კი ძლიერ და მტრების თავზარ დამცემ საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობა ისპობოდა. თავისუფალი სახელმწიფო, დიადის კულტურული წარსულით, ეროვნულ ისტორიულ ტრადიციებით, საკუთარ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციით და სამეფო დინასტიით რუსეთის იმპერიას უერთდებოდა. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იმპერიის მიწა-წყალს ემატებოდა, ხოლო მცხოვრებლებზედ, ნაცვლად ეროვნულ კანონმდებლობისა, საიმპერიო წესწყობილება ვრცელდებოდა. საქართველო—სახელმწიფო იმპერიის ადმინისტრატიულ პროვინციად გადაიქცა, ხოლო მეფე-მმართველი მოხელე მთავარმართებლით შეიცვალა. მრავალ საუკუნოების განმავლობაში მუდამ მბრწყინავი ქართულ სახელმწიფოს მზეც ჩაესვენა და ივერიის ტატნობს ჩრდილოეთის ბურუსით მოცული, მუდამ გაყინული „მწუხრის ზეწარი" გადაეფარა. მრისხანე ლომი—ქართულ სამეფო ბეჭედზე ამოკვეთილი მწივანა ორთავიან არწივით შეიცვალა. დადუმდა ქნარი დავითისა და საქართველოში უცნობი ჰანგი ამეტყველდა. ამიერიდან საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სიიდგან ამოიშალა და გუშინდელი ბატონი დღეს მონათ გადაიქცა. საქართველო რუსეთს შეუერთდა. შეერთების შედეგი კი, მოლოდინის წინააღმდეგ, სხვანაირი აღმოჩნდა. ქართველებს ჰსურდათ ქრისტიანობა შეუბღალავათ დაეცვათ—აქ კი მუსულმანთა სამეფოები მოსვენებას არ აძლევდენ, მოქანცულმა საქართველომ საშველად ხელი ერთმორწმუნე რუსეთს გაუწოდა. მანაც ყურად იღო თხოვნა და საშველად გამოემართა. შედეგი—ქართულ ეკლესიის მწყემსმთავარი—კათალიკოსი—ეგზარხოსით შეიცვალა. ქართველებს ჰსურდათ მრავალ საუკუნოებში მმართველი სამეფო დინასტია შეენარჩუნებიათ. დასახმარებლათ კვლავ რუსეთს მიმართეს. უკანასკნელმაც შველა არ დააყოვნა. ხოლო მეფის მემკვიდრის ბატონიშვილ დავითის მაგიერ ქვეყნის მმართველად გენერალი კნორინგი დაინიშნა. ქართველებს სახელმწიფო ტერიტორიის შენარჩუნების გარანტია ჰსურდათ. ამასაც რუსეთიდან მოელოდენ. აქაც შედეგი ჩვეულებრივი მოჰყვა. საქართველოს ტერიტორიას ქართველების გარდა სხვა პატრონიც აღმოუჩინეს.

რუ როგორ მოეწყო ქართველთა ცხოვრება ყოველისავე ამის შემდეგ, უკვე ვხედავთ. ხოლო ისტორიულ წარსულს რომ გადავხედოთ, ქართველებს 1801 წლის, ენკენისთვის 12 აქტის შემდეგ უკმაყოფილების მეტი არა უგრძვნიათ რა. მათი უკმაყოფილება პირველში აქტიურ ფორმებში სახელდებოდა: მთიულეთის ამბოხების 1804 წ., კახეთის ამბოხების 1814 წ. და 1832 წლის ცნობილ შეთქმულობის სახით. მას შემდეგ კი ქართველებს უკმაყოფილების შნოც კი დაეკარგათ. იგინი აღარა ჯანყდებიან—მარტო თავისთვის ჯავრობენ. აღარც თუ რაიმე პროტესტს აცხადებენ—თავისთვის კი იბუტებიან. ცნობილია, როდესაც ადამიანს საქმე წაუხდება ანდა უბედურება დაემართება რამ, ჯავრობს, სწუხს. მაგრამ საკმარისია მან ამ უბედურობის მიზეზი გამოძებნოს, თითონ ბრალი თავიდან აიცილოს, რომ იგი დამშვიდდეს. ეს ზნე ქართველებს უფრო სჩვევიათ. საკმარისია გაჯავრებულ ქართველს უთხრათ: მიზეზი შენის მწუხარებისა შენ კი არა, ეს არისო,—იგი ჯავრს გადიყრის. ხოლო მიზეზზედ კი გაცეცხლდება, მის რისხვას საზღვარი აღარ აქვს, იგი იბუტება, გულში კი კმაყოფილებას გრძნობს, რომ იგი უდანაშაულოა, ბრალი აიშვა და მომხდარ უბედურობის მიზეზი იგი კი არა, სხვა ყოფილა. კმაყოფილი ქართველი აქ შეჩერდება. საქმის გამოსაკეთებლათ ძნელად თუ ილონებს რასმე. ასეთსავე სურათს ვხედავთ მათს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველომ დამოუკიდებლობა დაჰკარგა—შედეგად ქართველი ერის ყოველგვარი შევიწროება და დევნა მოჰყვა. ქართველებმა რიხიანი ჯავრობა მორთეს. მაგრამ მათ მალე უბედურების მიზეზიც გამონახეს. წინაპრები!—სულ წინაპრებს ბრალია. მათ მიიყვანეს საქართველო სხვასთან შეერთებამდის. დამნაშავენი სულ მეფენი იყვნენ. კერძოთ, ერეკლე მეფე—ეს გმირი და გაწვრთნილი მეომარი, ჩინებული მმართველი, შორსმჭვრეტელი და მოქნილი პოლიტიკოსი აღმოსავლეთურ შკოლისა, ევროპულ პოლიტიკის წინაშე გამოუცდელი აღმოჩნდა. იგი საქართველოს აღორძინების ხანაში რუსეთს ტრაკტატით დაუკავშირდა და იმპერატორების უმაღლესი ბრძანებლობა მიიღო, გახდა ვასსალი მაშინ, როდესაც საქართველოს მდგომარეობა ამას არ მოითხოვდა. უმთავრესი ბრალი ხომ უკანასკნელ მეფეს გიორგი XIII ედება. იგი ვასსალურ დამოკიდებულობაზედ უფრო შორს წავიდა და თავის ელჩების პირით 1799 წელს სრული დამორჩილება ითხოვა. აი მიზეზები საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების მოსპობისა, დღევანდელ ქართველობის რწმენით. ქართველ მეფეებს შეეძლოთ სრულებით არ მიეყვანათ საქართველო შეერთებამდის, მით უმეტეს, რომ ერეკლეს ხანა საქართველოს გამობრუნების ხანად ითვლება და იმ დროს არც რუსეთს ჰქონდა არავითარი სურვილი საქართველოს შეერთებისა თავისთანაო,—იტყვის დღესაც მრავალი ქართველი. მაგრამ ისეთი თვალსაჩინო პოლიტიკური აქტი, როგორიცაა ერთი სახელმწიფოს მეორესთან შეერთება, არა ხდება კერძო პირების სურვილით, თუნდ იგინი უმაღლესი უფლებებით აღჭურვილნიც იყვნენ. ამნაირი აქტი ყოველთვის თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შედეგია. იგი მხოლოდ შემაერთებელის და შეერთებული სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკას დასკვნაა,—მისი სახის გამოცვლაც დამოკიდებულია ამ პოლიტიკის შეცვლაზედ.

კერძოთ საქართველოს შეერთება იმპერიასთან ერთგვარ ისტორიულ პროცესის შედეგია. მისი მიზეზები საქართველოს მეზობელ სახელმწიფოების საშინაო და საგარეო პოლიტიკაშია ჩამარხული და როგორც ასეთი, აუცილებელი მოვლენა იყო ისტორიაში. მისი სახის გარდაქმნაც დამოკიდებულია ხსენებულ სახელმწიფოთა პოლიტიკის მიმართულების შეცვლაზედ, რომელიც ხდება იმნაირ ისტორიულ მიმდინარეობაში, როგორიცაა, მაგალითად, თუნდ დღევანდელი მომენტი. ჩვენი წერილის მიზანია გამოიკვლიოს საქართველოს რუსეთთან შეერთების მიზეზები; არიან თუ არა ამ აქტში დამნაშავენი ქართველი მეფეები და თუ ეს ისტორიული აქტი იმდროინდელ საერთაშორისო პოლიტიკით იყო გამოწვეული,—ახლანდელ პოლიტიკური კატასტროფებით გამოწვეულ მრავალ სახელმწიფოთა პოლიტიკის შეცვლით შეიცვლება საქართველოს პოლიტიკური სახეც თუ არა? ამისთვის ჩვენ შევჩერდებით საქართველოს იმდროინდელ მეზობელ სახელმწიფოების: რუსეთის, სპარსეთის და ოსმალეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზედ. საქართველოს სამეფო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ჩვენც უპირველესად რუსეთის საგარეო პოლიტიკას განვიხილავთ და გამოვარკვევთ, იყო თუ არა საქართველოს რუსეთთან შეერთება საჭირო და შეიძლებოდა თუ არა მისი აცილება.

X—XII საუკუნოებში აღმოსავლეთ ევროპის დაცემულ სწორ ველზედ მოხეტიალე სკვითების და სხვა და სხვა სლავიანების ტომებისაგან შეიქმნა მოსკოვის დიდი სამთავრო—წინაპარი რუსეთის მომავალ იმპერიისა. ეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის ვაკე მიდორი შემოფარგლული იყო ბუნებრივის სამზღვრებით. გარს ერტყა: ბალტიის, თეთრი, შავი და გურგენის ზღვები და ურალის, კავკასიის და კარპატის მთაგრეხილები. ამ ველზედ აღმოცენებულმა რუსეთის სახელმწიფომ თავის ისტორიულ მიზნათ ამ ბუნებრივ საზღვრებამდის მიღწევა დაისახა. სახელმწიფო ტერიტორიის ამ ბუნებრივ სამზღვრებამდე გაფართოვებას ხელს არ უშლიდა არავითარი ბუნებრივი დაბრკოლება, რომელიც ოდნავათ მაინც შეაჩერებდა რუსთა ახალშენების გავრცელებას. აი ეს ისტორიული მიზანი დაედვა საფუძვლად რუსეთის სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკასაც, რომელი მიზანიც ასე ზედმიწევნით ხორციელდება დღევანდლამდე რუსთა სახელმწიფოებრივის ძალის მიერ. რუსის ერის გაფართოვებას და მის მიერ მთლიან სახელმწიფოს შექმნას ხელს უწყობდა აგრეთვე მრავალი მდინარენი, რომელნიც გამომდინარეობენ შუაგულ ადგილებიდან და წყნარად მიიზლაზნებიან მოსაზღვრე ზღვებისკენ, რითაც აერთებდენ შუაგულს განაპირა ადგილებთან. მდინარეების მნიშვნელობაზედ ხომ ლაპარაკი მეტია. ძველად, და ბევრგან ეხლაც, ესენი საუკეთესო საშუალებას [illegible] წარმოადგენენ ვაჭრობის გავრცელებაში, სავაჭრო გადატან-გადმოტანისათვის და საერთოდ საკომერციო ოპერაციების გაფართოვებაში. ამა თუ იმ ხალხის სავაჭრო ბაზრის გაფართოვებას ხომ თანასდევს პოლიტიკური საზღვრების გაფართოვებაც. რუსეთის ცხოვრებაშიაც ხსენებულმა მდინარეებმა დიდი როლი ითამაშეს. ესენი აერთებდენ შუაგულ მცხოვრებლებს განაპირა ხალხებთან და მათს შეკავშირებას ხელს უწყობდენ. გარდა ამისა ამ მდინარეების წყალობით ძველად რუსის ერი მოვაჭრე ერად გადაიქცა. ყოველგვარ ნაწარმოებს, დაუმუშავებელს რასაკვირველია, მიეზიდებოდა ამ მდინარეებით და ასაღებდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა დნეპრო-ბუგის წყალთა გზას, რომელიც აერთებდა სკანდინავიის ნახევარ კუნძულს, რუსეთის სავაჭრო ქალაქ ნოვგოროდს და სხვ. ბიზანტიასთან. ამ გზის მნიშვნელობა კარგათ ასწერა საბერძნეთის იმპერატორმა კონსტანტინე ძოწით მოსილმა[1] და

[1] თავი XI. სამწუხაროდ ამის თარგმანი არ არის არც ქართულს და არც რუსულ ენებზედ. დედანი გარდათარგმნილია ბევრ ევროპულ ენაზედ.

# ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

(პეტ. დეპ. სააგ.)

22 იანვარი.

**კოპენჰაგენი.** დანიის მენავეთა ამხანაგობამ დაადგინა, სანამ მდგომარეობა გამოირკვეოდეს, მენავეობა შეაჩეროს.

**ქრისტიანია.** გერმანეთის დესპანმა საგარეო საქმეთა მინისტრს მემორანდუმი ჩააბარა, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის სანაპიროთა გარემოცვა დღეიდან იწყებაო. ამის გამო ზღვაში გასასვლელად გამზადებული გემი „იუპიტერ"-ი აღარ გაუშვეს. ინგლისისა და ნორვეგიას შორის მენავეობა შესწყდა.

**სტოკჰოლმი.** ჰეტებორგიდან იტყობინებიან: ინგლისსა და შვეციას შორის საფოსტო მიმოსვლა შესწყდა. შვეციის ლლოიდმა, რომელსაც ინგლისის ფოსტა გადაჰქონდა, ჰეტებორგის საფოსტო უწყებას აცნობა: ახალ განკარგულებამდე ინგლისთან მიმოსვლა შეწყვეტილია. როგორც სჩანს, არც კერძო გემები იკისრებენ ფოსტის წაღებას.

**ვაშინგტონი.** სამინისტროს სხდომამ $2\frac{1}{2}$ საათს გასტანა. უილსონი საგარეო საქმეთა სენატორს სტონს ეთათბირა. ამბობენ, სამინისტრომ გადასწყვიტა, გერმანეთს ჩრდილო-ამერიკის უფლებების შეზღუდვის ნება არ მისცენო.

სენატორ სტონსა და სენატორ ლიურთან თათბირის შემდეგ, უილსონმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ჯერ საკმაო საბუთები არა გვაქვს გერმანეთთან სადიპლომატო დამოკიდებულების შესაწყვეტად, გერმანეთი ზიანს არ მიააყენებს ამერიკელებს და მათს საკუთრებასო. ორი საათის თათბირის შემდეგ უილსონმა სატახტო ქალაქი მიატოვა. უილსონთან მოთათბირე სენატორთაგანმა განაცხადა: გერმანეთთან სადიპლომატიო დამოკიდებულება აუცილებლად შესწყდებაო.

**ჰააგა.** გერმანეთმა გარემოცვის ხაზი ისე შესცვალა, რომ ჩრდილოეთის ზღვაში ინგლისისა და გერმანეთის მიერ გარემოცულ მიდამოს შორის 20 ვერსი თავისუფლად არის დატოვებული.

**ნიუ-იორკი.** გაზეთების აზრით გერმანეთის განცხადება, დაუნდობელ წყალქვეშა ბრძოლის განცხადებისა, უდიდესი შედეგია საერთაშორისო განხეთქილებისა. მათის აზრით აუცილებლად საჭიროა გერმანეთთან სადიპლომატო დამოკიდებულების შეწყვეტა.

**ლონდონი.** ყველა გაზეთები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ გერმანეთის ნაბიჯი უფრო სასოწარკვეთილების შედეგია, ვიდრე მუქარის გამოცხადება.

**კოპენჰაგენი.** ხვალ შვეციის მეფე აქ მოდის. ამის გამო „ბერლ. ტიდ." სწერს: თუმცა მეფის სტუმრობას კერძო ხასიათი აქვს, მაგრამ მისი მისვლა ამ მნიშვნელოვან დროს, ნიშანია სკანდინავიის სახელმწიფოთა მჭიდრო კავშირისა.

**პარიზი.** ესპანიის ტრანსატლანტიის მენავეთა საზოგადოებამ განაცხადა, მენავეობას არ შევწყვეტო. თუ ჩვენს გემებს გერმანელების წყალქვეშა დაეცემა, ჩვენი მთავრობა შესაფერ დამსჯელ ზომებს მიიღებსო.

მადრიდიდან იტყობინებიან: რესპუბლიკელები გულისწყრომას გამოსთქვამენ გერმანეთის ნოტის გამო და მოითხოვენ, რომ ესპანიის მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღოს ესპანიის ეროვნულ ღირსების და ინტერესების დასაცავად.

**პარიზი.** მადრიდიდან იტყობინებიან: ესპანიის მთავრობამ ცენტრალ სახელმწიფოებს სთხოვა, მეტი ვადა მოგვეცით გარემოცულ ადგილებში მომწყვდეულ გემების დასაბრუნებლადო. მადრიდში დაბრუნებისთანავე მეფე დიდხანს ეთათბირა გრაფ რომანონესს.

დედოფალმა ვიქტორიამ სადარბაზოდ მიიღო რუსეთისა და იტალიის მადრიდელი დესპანები.

ამბობენ, ესპანიის მთავრობამ პროტესტი განუცხადა გერმანეთის მთავრობასაო.

**სტოკჰოლმი.** დღეს ჰელსინგფორსში ყრილობა დაიწყო შვეციისა, დანიისა და ნორვეგიის რკინის გზების წარმომადგენლებისა. ყრილობა, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს სკანდინავიის რკინის გზებზე სამგზავრო მატარებლების შემცირებისას.

**ქრისტიანია.** ყოველგვარ მიმოსვლის შეწყვეტა ინგლისთან, ევროპასთან და ამერიკასთან, ნორვეგიას საფრთხეში აგდებს. ქვანახშირის გარდა ნორვეგიას მოაკლდება აუცილებელი საგნებიც. გაზეთები ურჩევენ ნეიტრალ სახელმწიფოებს, გერმანეთსა და ავსტრიას გულის წყრომა გამოუცხადონ.

**ლონდონი.** (სწრაფი) შეერთებულ შტატებსა და გერმანეთს შორის სადიპლომატო დამოკიდებულება შესწყდა.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონიდან ატყობინებენ: ბერლინში მყოფმა ამერიკის ელჩმა ჯერარდმა ბრძანება მიიღო საელჩო გააქმოს. ამერიკელმა კონსულმა და წარმომადგენლებმა ბერლინი უნდა დასტოვონ. ამერიკულ მოქალაქეთა მფარველობა ესპანიის წარმომადგენელმა იკისრა.

**პარიზი.** გაზეთები სწერენ: გერმანელ წყალქვეშა ნავების აფიცრებს ისე მოეპყრობიან, როგორც მეკობრეებსაო.

23 იანვარი.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების მთავრობამ გერმანეთს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეთ ატლანტიის ოკეანეში დაღუპულ გემზე დატყვევებული ამერიკელი მოქალაქენიო.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდან იტყობინებიან: ბერნსტორფს ჩააბარეს პასპორტები, ჯერარდი უკან დაიბარა[...]. უილსონი დღეს სიტყვას წარმოთქვამს კონგრესზე. სამინისტროს წევრებთან და სენატორებთან თათბირის შემდეგ უილსონი გადაჭრილ გადაწყვეტილებას დაადგა, რაკი დარწმუნდა, რომ მისი ქვეყანა მხარს დაუჭერს.

# ᲥᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

## ᲙᲠᲣᲞᲘᲡ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ.

„ტაიმს"-ი გადმოგვცემს, რომ შეერთებულ შტატებში არსებული იარაღის ქარხანა ბეთლემის ამხანაგობისა 50 პროცენტით მეტს იარაღს ამზადებს, თურმე, ვიდრე განთქმული კრუპის ქარხანა ესენში. ეს ქარხანა თვეში 1 მილიონ დიდი ყალიბის ზარბაზანს ამზადებს. აქვე მზადდება 16 დიუმიანი, რომლითაც შეაიარაღებენ ამერიკის ახალ ზედ-დრედნოუტებს. ამხანაგობას გადაუწყვეტია 200 მილიონი მანეთი კიდევ დახარჯოს ქარხნის გასაფართოებლად. ეს ქარხანა ზარბაზნების გარდა გემების აშენებასაც შესდგომია, კრუპის ქარხნის მიხედვით.

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ.

ჟურნალ „Rivista Marittima" გადმოგვცემს: ომის დაწყებისას გერმანელებმა ააგეს „ვერტას მაგიერი" გემი, რომელსაც უწოდეს „ვილჰელმ მეორე". მისი აგება 1913—1914 წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით დაიწყო. იგი 1,378,000 ფუთის მტვირთველია; შეიარაღებულია 15 დიუმიან 8 ზარბაზნით და 6 დიუმიან 16 ზარბაზნით. ამ გემის აგება დაიწყეს 1913 წ. ენკენისთვეში. მან იუტლანდიის ბრძოლაში უკვე მიიღო მონაწილეობა. იმავე წელს მაისში დაიწყეს მეორის აგება და სახელად უწოდეს „j". ეს ორივე გემი ეხლ მოქმედებაშია.

1914 წლის დასაწყისში ზღვაზე ჩაუშვეს გემი „ბაიერნ"-ი, 15 დიუმიან 8 ზარბაზნით შეიარაღებული და 1,860,000 ფუთის მტვირთველი.

ომის დაწყებისავე ააგეს ორი მებრძოლი გემი: „ჰინდენბურგი" და „მაკენზენი", თითო 1,736,000 ფუთის მტვირთველი რვა-რვა 12 დიუმიანი ზარბაზნით შეიარაღებული. ეს გემებიც მოქმედებაშია.

ამათ გარდა დამზადებული აქვთ ნაღმოსნების მრავალი გამანადგურებელი გემი. ამათ მონაწილეობა მიიღეს შარშან ლამანშზე თავდასხმაში და 29 ღვინობისთვის ბალტიის ზღვაში მომხდარ ბრძოლაში. ეს გემები 62,000—63,000 ფუთის მტვირთველნი არიან და 6 დიუმიან ზარბაზნით არიან შეიარაღებული.

გერმანელებს მრავალი პატარა მოდარაჯე ნაღმოსნები აუგიათ, ეს ნაღმოსნები ზეებრიუგესთან უდარაჯებენ ჰოლანდიის გემებს და ატყვევებენ.

განსაკუთრებით ბევრს ამზადებენ, თურმე წყალქვეშა ნავებს, როგორც სათარეშოდ ისე თავისი სანაპიროების დასაცავად.

## ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ.

**პროფესორ ვეჰნერის მოსაზრება.**

„Lokal Anzeiger"-ის თანამშრომელი პროფესორი გეჰნერი ეხება იმ საკითხს, თუ გაზაფხულზე რომელ ასპარეზზე გაჩაღდება გადამწყვეტი ბრძოლა და ამბობს: გაზაფხულზე დასავლეთის ასპარეზზე უფრო მოსალოდნელია ბრძოლის გაჩაღება, რადგანაც აქ ინგლისელებმა და ფრანგებმა დიდძალ საბრძოლ მასალას მოუყარეს თავი. ამ გაზაფხულის ბრძოლა ყველა წინად მომხდარ ბრძოლას გადააჭარბებს თავისი სიმკაცრით და ძლიერებით. ინგლისელები და ფრანგები მთელი ბრძოლის ხაზზე მოსვენებას აღარ აძლევენ გერმანელებს პატარ-პატარა შემოტევით და ოსტატურად ჰფარავენ თუ სად აპირებენ უმთავრეს შემოტევის დაწყებას.

უფრო მოსალოდნელია შემოტევა დაიწყონ ფლანდრიაში ან ელზასში, რადგანაც გენერალი ფოში ეხლა ბელფორში იმყოფება. მდ. სომას ჩრდილოეთით გაჩაღებული ზარბაზნებით ბრძოლა იმისი მომასწავებელია, რომ სომაზედაც გაფართოვდება და გაძლიერდება ბრძოლა. დიდი ბრძოლა დაიწყო აგრეთვე შამპანში.

**სამხედრო მინისტრის საუბარი.**

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: პრუსიის სამხედრო მინისტრმა ამერიკულ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა: მოკავშირეები საფრანგეთის ასპარეზზე აპირებენ ფართე შემოტევას. ჩვენც მოვემზადეთ და მომავალი ბრძოლა სომაზე მომხდარ ბრძოლას მთლად დაჩრდილავსო. გერმანეთს იმდენი მარქაფა ჯარი ჰყავს, რომ ლანდშტურმელთა გაყვანა 45 წლისაზე ზევით არ დასჭირდებაო. გერმანეთმა თავი მოუყარა მთელ თავის ხელოვნებას, მეცნიერებას და ჯარსაო.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს**, ხუთშაბათს, ამა თვის 26, თბილისის სათავად-აზნაურო ქართული გიმნაზია გადაიხდის ტაძრის დღესასწაულს. ოთხშაბათს საღამოთი შესრულებულ იქნება ღამისთევითი ლოცვა, ხოლო ხუთშაბათს წირვა და პარაკლისი. ღამისთევითს ლოცვაზედ იგალობებს ფილარმონიის საზოგადოების გუნდი, წირვა-პარაკლისზედ კი—გიმნაზიისა. ოთხშაბათს საღამოზედ მწუხრი დაიწყება ხუთ საათზედ, ხუთშაბათს კი ათ საათზედ.

◆ **დიდი ბანკი.** როგორც სარწმუნოთ ამბობენ, რუსეთში არსდება „სომეხ-ამერიკელთა ბანკი". 150 მილიონ მან. ძირითადი თანხით. დამაარსებელნი არიან რუსეთის შეძლებული სომხები და ამერიკის სომეხი ბანკირები. 100 მილიონ მანეთი შემოაქვთ ბანკირებს, ხოლო 50 მილიონი რუსეთის მდიდარ სომხებს. ჯერ ჯერობით ბანკი დაარსდება პეტროგრადში, ხოლო შემდეგ განყოფილებებს მოაწყობენ იმპერიის სხვა და სხვა ქალაქებში, სხვათა შორის, თბილისსა და ბაქოში. ბანკის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სომეხთა ვაჭრობა-მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, ხელსაქმეს, უბინადრო ხალხის დასახლებას და ეს ბანკი განსაკუთრებით მიაქცევს ყურადღებას ამიერ კავკასიას. პროექტი ბანკის წესდებისა ჩქარა შემუშავდება და შემდეგ მთავრობას წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ **ერობა კავკასიაში.** მეფის ნაცვლის კანცელარია აცხადებს, რომ სიმართლეს მოკლებულია ის ხმები, ვითომც ამიერ-კავკასიის ერობა სახელმწიფო კანონთა მე-87 მუხლის წესით იქმნება განხორციელებული.

◆ **კახეთის რკინის გზის გამგეობა** პეტროგრადიდან თბილისში გადმოვიდა.

◆ **სომხური სამრეწველო სკოლა.** ვინმე ყაზანჯიანმა ეპისკოპოს მხითარს 15,000 მანეთი გადასცა საბურთალოზე სომხურ სამრეწველო სკოლის დასაარსებლად.

◆ **შაქრის ქურდობა.** ქალაქის გამგეობამ დაითხოვა თავისი მოსამსახურე სასურსათო განყოფილებისა მ. აფიანცი, რომელიც ყველას არწმუნებდა—სასურსათო განყოფილების გამგე ჯაბართან კარგს განწყობილებაში ვარ და შემიძლია, რამდენიც გინდათ, იმდენი შაქარი გამოვიტანოვო. ბევრისაგან ფულიც აუღია წინდაწინ.

◆ **კახეთის რკინის გზის საზოგადოების** აქციონერთა უკანასკნელ არაჩვეულებრივს კრებაზე გამგეობის დირექტორად არჩეულ იქმნენ: თ. დიმიტრი ჩოლოყაშვილი, რ. ყაზბეგი, ფილ. გოგიჩაიშვილი, ხოლო კანდიდატებად: თ. მ. ზ. ჭავჭავაძე, თ. მ. სუმბათაშვილი და გ. სარაჯიშვილი.

◆ **მოაგარაკეთა საზოგადოების** წევრთა კრებაზე დასასწრებლად ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მხრივ დაესწრებიან ქალაქის მოურავე ი. მ. ჩიქოვანი და საბჭოს ხმოსანი ექ. დ. ა. ნაზაროვი. პირველი მათგანი მოხსენებას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „წყალტუბოს მადნეულ წყაროების მუნიციპალიზაცია", ხოლო მეორე ბ-ნი ნაზაროვი—„წყალტუბოს მადნეული წყაროები და მათი მნიშვნელობა სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის". ამავე კრებაზე ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ექიმი ნ. ა. სახაროვი მოხსენებას წაიკითხავს ცემის სასანიტარო სადგურის გაფართოებისა და გაუმჯობესობის შესახებ. აგრეთვე მოხსენებას წაიკითხავს დ. ნ. პავლოვი აგარაკებზე ბინების საკითხის შესახებ.

◆ **ახალი ნიხრი.** გუბერნატორმა დაამტკიცა ახალი ნიხრი გამომცხვარ პურზე: გირვანქა თეთრ პურზე დაწესებულია $10\frac{1}{2}$ კაპ. და შავზე $8\frac{1}{2}$ კ.

◆ **კლუბის („სობრანიეს") წევრთა** წლიური კრება მოხდა 21 იანვარს, განხილულ იქმნა წარსული წლის ანგარიში. შემოსულა 90,398 მან. 08 კაპ., დახარჯულა 93,679 მან. 71 კაპ. ზარალი უდრის 3,281 მან. 63 კაპ. ანგარიში დამტკიცებულ იქმნა. შემდეგ კრებამ აირჩია მამასახლისები, სარევიზიო კომისიის წევრები და მათი კანდიდატები.

◆ **საკოოპერაციო სექციას, ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან არსებულს**, კრება ჰქონდა 20 იანვარს. თავმჯდომარეობდა დავ. ვაჩნაძე, კრების საგანი იყო: განხილვა 1917 წლის ხარჯთაღრიცხვისა, არჩევა სექციის პრეზიდიუმისა და არჩევა წარმომადგენლისა ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თათბირზე დასასწრებლად. პრეზიდიუმის არჩევა შემდეგისათვის გადაიდვა, აგრეთვე შემდეგისათვის გადაიდვა ხარჯთაღრიცხვის განხილვა, ვინაიდან პროექტი ხარჯთაღრიცხვის ჯერ შედგენილი არ ყოფილა. კრებამ ხარჯთაღრიცხვის პროექტის შედგენა მიანდო სექციის ინსტრუქტორს ბ-ნ მ. ტოროშელიძეს. ჯერი მიდგა წარმომადგენლის არჩევანზე კავშირის თათბირზე გასაგზავნად. მაგრამ რადგან ამ თათბირის უმთავრესი საგანია გამორკვევა საკითხის, თუ როგორ დაუახლოვდეს ჩვენებური კოოპერატივები მოსკოვის სახალხო ბანკს, ამიტომ კრებაზე კამათი ასტყდა იმის შესახებ, თუ რამდენად ხელსაყრელი იქნება ჩვენი კოოპერატივებისათვის ამ ბანკთან იქონიონ საქმე. კამათი დიდხანს გაგრძელდა და კრება ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგა. ამიტომ წარმომადგენელიც აღარ აურჩევიათ.

◆ **წყლის საქმე თბილისში.** 20 იანვარს სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობას და სატეხნიკო კომისიას, ქალაქის ინჟინერ-ტეხნიკოსთა თანადასწრებით. განხილულ იქმნა საკითხი შესახებ იმისა, თუ როგორ უზრუნველ ჰყონ ქალაქი წყლის მხრივ მომავალ ზაფხულში. წინად შემუშავებულ პროექტის მიხედვით, შესამჩნევად უნდა გაფართოვებულიყო წყალსადენის მოწყობილებანი და ამისათვის 2 მილიონ მანეთამდე დახარჯვას აპირებდა ქალაქის თვითმართველობა. მაგრამ კრებაზე გამოირკვა, რომ ამ ჟამად შეუძლებელია წყალსადენის გადიდება იმ წესით, როგორც ჰფიქრობდნენ, რადგან არავითარი საჭირო მანქანებისა და სხვა მასალის შეძენა ეხლა არ შეიძლება. ამიტომ კრებამ საკითხი საქმის გადადების შესახებ გადაუწყვეტი დასტოვა და გადასწყვიტა ისე მაინც მოაგვაროს საქმე, რომ ზაფხულში წყალი არ შემოაკლდეს ხალხს. ამ ღონისძიების გამონახვა კრებამ დაავალა გამგეობის წევრს ა. ა. არღუთინსკის და ქალაქის ინჟინერ-ტეხნიკოსებს.

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.**

ბაგინოვის მაგიერ უფროს ნატარიუსად ინიშნება ზუგდიდის მომრიგებელი მოსამართლე ანტ. ხაბურზანია.

— ქუთაისის ქართ. გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სამაზრო სამხედრო საკრებულოში, რომ ამ გიმნაზიის მე-8 კლას. მოწაფეებს, 1898 წელს დაბადებულთ, შეღავათი მიეცესთ სწავლის დამთავრებამდე.

---

მიტომ ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით მასზედ. თუ ჩვენ მივიღებთ და აღვიარებთ ვაჭრობის დიდ მნიშვნელობას სახელმწიფო ცხოვრებაში და კერძოთ რუსეთისთვის, ცხადი იქნება, რომ რუსეთი აღმოსავლეთის ქვეყნებით ძველადვე იყო დაინტერესებული და ეს ინტერესი გადაიქცა იმ საჭირბოროტო საკითხად, რომელსაც რუსეთის ისტორიაში „აღმოსავლეთის საკითხი" ეწოდება. აღმოსავლეთის საკითხი ფრიად ძველია. რუს ისტორიკოსის სოლოვიოვის სიტყვით, „ამ გმირს შესანიშნავი ძველი მიმდინარეობა აქვს". უნდა აღვნიშნოთ, რომ აღმოსავლეთის საკითხი შესდგება მხოლოდ დაპყრობითის ელემენტებისაგან. რუსეთი აქ ცდილობს თავის ბატონობა შავ ზღვაზედ გააფართოვოს, რადგან ამ ზღვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელ სამხრეთ რუსეთისათვის. ვიდრე შავის ზღვის ჩრდილო ნაპირები მოწინააღმდეგეების ხელში იყო, რუსეთის სამხრეთი ნაწილი—დღევანდელი უკრაინა—მცხოვრებლებს მოკლებულ უდაბურ მინდორს წარმოადგენდა. ხოლო როდესაც რუსეთის ბატონობაც გავრცელდა შავ ზღვაზედ, შესაძლებელი გახდა ამ მხარის მჭიდრო დასახლებაც. რუსეთმა, რასაკვირველია, არ იკმარა შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები. მისი ნდომა უფრო შორს წავიდა და თავის პოლიტიკურ პროგრამაში ამ ზღვის სრუტეებიც შეიტანა, სახელდობრ, ბოსფორი და დარდანელის სრუტენი, რომელნიც შეძლებას მისცემდენ მის სავაჭრო გემებს თავისუფლად ეარნათ შორეულ ქვეყნებამდის, ხოლო სამხედრო გემებს თავისუფლად ენავარდათ ევროპის ნაპირებამდის. არა მარტო შავი ზღვის მხარე ანუ სამხრეთ-დასავლეთი აინტერესებდა რუსეთს, მისი ნდომა უფრო შორს წავიდა. იგი არანაკლებ შესტრფოდა სამხრეთ-აღმოსავლეთს [...] კასპიის ზღვის მიდამოებს, საიდანაც ის მოახერხებდა ინდოეთის ოკეანეში შეჭრას. კასპიის ზღვა უფრო აინტერესებდა რუსეთს, მიტომ რომ ისტორიული პერსპექტივა დიდს არაფერს ჰპირდებოდა მას შავი ზღვისკენ. ამ უკანასკნელის პატრონი მე-XV საუკუნემდე ბიზანტია იყო. ჯერ ახლად აღორძინებული რუსეთი, და ისიც მონღოლთაგან დაბეჩავებული, ვერ გაუმკლავდებოდა საკმაოდ ძლიერს და კაი სახელმწიფო ორგანიზაციის მქონე ბიზანტიას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნახევრად ლეგენდალურ გალაშქრებას ოლეგისას, ასკოლდისა და დირის, ვლადიმირ მონომახის და სხვა რუსეთის პირველ თავადებისას, რუსეთს თავის დღეში არ უომნია ბიზანტიასთან შავ ზღვაზედ და მის სრუტეებზედ გაბატონებისთვის.

მე-XV საუკუნის ნახევარში ბიზანტია დაეცა და მის ნანგრევებზედ აშენდა ძლიერი და უფრო საშიში ოტომანთა იმპერია. ამასთან შებრძოლება უფრო ძნელი იყო რუსეთისთვის, მაგრამ სახელმწიფოებრივ ინტერესებს თავისი გაჰქონდა და ხომ კარგათ ვიცით, რუსეთის ისტორია სავსეა რუსეთს ოსმალეთის ბრძოლებით თითქმის დღევანდლამდე. დიდი შეცდომა იქნება, რომ რუსეთ-ოსმალეთის ომების მიზეზად ჩავთვალოთ ისა, ვითომ რუსეთს ოსმალეთში მაცხოვრებელ ქრისტიანების მფარველობა სურდაო, როგორც ამას ამტკიცებენ რუსეთის მრავალი ისტორიკოსნი, არა, მიზეზი უფრო ღრმაა:—ეს მიზეზი შავი ზღვის და მის სრუტეების მისაკუთრება იყო თავისუფალ ნაოსნობისთვის. ამაზედ ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვევით შევჩერდებით. აქ კი აღნიშნავთ, რომ შავი ზღვის სრუტეების საკითხით ევროპაც დაინტერესდა, რომელიც ხშირად ოსმალეთთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ მოქმედობდა. რუსეთს თანდათან უძნელდებოდა ზღვაზედ ბატონობისთვის ბრძოლა, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, აღმოსავლეთზე ხელს ვერ აიღებდა. აღმოსავლეთი ხომ წარმტაცია. იქ არის ტროპიკული აფრიკა, ზღაპრული ინდოეთი და მრავალი ქვეყნები—საუკეთესო ბაზარი რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობისთვის. აღმოსავლეთზედ უარის თქმა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთერთ კარდინალურ საკითხის უარის ყოფას უდრიდა. მაგრამ არის სხვა გზაც, რომელიც აღმოსავლეთს ჩრდილო რუსეთთან შეაერთებდა—ეს კავკასიაა. თუ სამხრეთ-დასავლეთი ძნელი დასაპყრობი აღმოჩნდა რუსეთისთვის, სამაგიეროთ, სამხრეთ-აღმოსავლეთით საუცხოვო გზას გაიკვლევდა, და აი კავკასია ჩაექსოვა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში და საქართველოც აღმოსავლეთის საკითხის ერთი ბულღთაგანი შეიქმნა.

აღმოსავლეთის საკითხის შესახებ რუსეთის ისტორიოგრაფიაში აუარებელი ლიტერატურა არსებობს. ბევრმა რუსმა ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა შეალია თავისი სამეცნიერო ძალღონე ამ საკითხის გამოკვლევას, აუარებელი მრავალტომებიანი ნაშრომები დაწერილა მის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი დღესაც სადავო საკითხად არის მიჩნეული მეცნიერებაში; და მკვლევარნი დღემდის ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრს ადგანან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მკვლევარნი ცალმხრივ უდგებიან საკითხს და არ იხილავენ მას მთელის მისის შემადგენლობით. მაგალითად: ისტორიკოსი სოლოვიოვი აღმოსავლეთის საკითხს ევროპასა და აზიას შორის გაუთავებელ ბრძოლის ერთერთ მომენტადა სთვლის. საკმარისია სოლოვიოვის საწინააღმდეგოთ ვსთქვათ ის, რომ აზია და ევროპა მხოლოდ გეოგრაფიული ცნებანი არიან, არავითარ შეგნებულს და თვითმომქმედ ერთეულს იგინი არ წარმოადგენენ,—მაშასადამე, არავითარი ბრძოლა მათს შორის არ შეიძლება, და არც ისტორიას ახსოვს მაგალითი, რომ ევროპა, როგორც ასეთი, აზიის წინააღმდეგ ამხედრებულიყოს ან და აზიას ევროპის საწინააღმდეგოთ გამოელაშქროს. ამნაირივე მოსაზრებანი წამოაყენა სოლოვიოვის წინააღმდეგ მეორე ისტორიკოსმა დანილევსკიმ, მაგრამ საკითხის გადაწყვეტაში ესეც მეორე უკიდურესობაში მოექცა. მან აღმოსავლეთის საკითხში დაინახა ბრძოლა რომანო-გერმანულ ანუ კათოლიკურ ერებისა ბერძენ-სლავიანურ ანუ მართლმადიდებელ ერებთან. მიზანი და აზრი ამ ბრძოლისა, დანილევსკის აზრით, არის ისა, რომ რომანო-გერმანული ერები ცდილობენ გაავრცელონ თავიანთი ძალა და გავლენა ბერძენ-სლავიანებზედ და მით წინააღუდგნენ უკანასკნელების მიერ ახალ სლავიანურ კულტურის შექმნას. მართლმადიდებელ რუსეთის და მთელი სლავიანებისთვის კი ეს ბრძოლა იმაში გამოიხატება, რომ წინააღუდგენენ კატოლიკების ამპარტავნულ სურვილებს, დაიცვან თვითარსებობა და, წინააღმდეგ რომანო-გერმანულ კულტურისა, გაავრცელონ თვითარსებული სლავიანური ცივილიზაცია. რასაკვირველია, დანილევსკის აზრს საკითხის გადაწყვეტად ვერ ჩავთვლით. აქ მხოლოდ ცნებათა არევ-დარევაა და სხვა არაფერი. მართლაც რომანო-გერმანული კულტურა და ბერძნულ-სლავიანური ჰგულისხმობს ორ კულტურას, რაც წარმოუდგენელია, რადგან იგი ერთია, რომლის განვითარებაშიაც ყველა ერები იღებენ მონაწილეობას, მათ შორის, ბერძენ-სლავიანებიც. არც თუ ისტორიას ახსოვს მაგალითი, რომ როდესმე რომანო-გერმანული ერები მთელის შემადგენლობით ამხედრებულიყვნენ ბერძენ-სლავიანების წინააღმდეგ. სიმართლეს უფრო დაუახლოვდა ცნობილი ისტორიკოს-იურისტი ს. ჟიგარევი და საკითხიც ცოტათი თუ ბევრად დაახლოვებით გადასჭრა. ჟიგარევი აქცევს ყურადღებას რუსეთის გეოგრაფიულ მდებარეობას და მის ნაციონალურ-რელიგიურ ნათესაობას ოსმალეთის ქრისტიანებთან. აქედან ის ასკვნის, რომ რუსეთი სტამბულის დამხობის შემდეგ იძულებული შეიქმნა საკუთარ მატერიალურ ინტერესების უზრუნველსაყოფად ეზრუნა აღმოსავლეთში, მოეპოვებინა თავისუფალი ნაოსნობის უფლება შავ ზღვაზედ და მის სრუტეებზედ და თანაც ოსმალეთში მყოფ ერთმორწმუნე თვისტომ ქრისტიანებს გამოსარჩლებოდა, მათი კეთილდღეობისთვის ეზრუნა, გამოეხსნა იგინი ოსმალოთა მონობისგან და ხელი შეეწყო მათთვის, რომ იგინი კულტურულ ერებს დაჰკავშირებოდნენ. და ეს პოლიტიკური მისია, ჟიგარევის აზრით, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში დაიბადა მაშინ, როდესაც დაყანდებული საბერძნეთი სასტიკ და მძლავრ მუსულმანთა სამეფოდ შეიცვალა. ჯერ ერთი, უნდა მოვაგონოთ ისტორიკოს-იურისტს, რომ აღმოსავლეთის საკითხი რუსეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში აღიძრა არა კონსტანტინოპოლის დამხობის შემდეგ, არამედ უფრო ადრე. არამც თუ მისი ჩანასახი, მისი განვითარებაც რუსეთის პირველ თავადების ხანას ეკუთვნის. ოლეგის, იგორის და სხვათა გალაშქრება საბერძნეთზედ, მათი სავაჭრო ხელშეკრულობანი ბერძნების იმპერატორებთან დადებული, მაჩვენებელნი არიან იმ სურვილისა, რომლის ძლითაც რუსეთის პოლიტიკა ძველადგანვე ეპოტინება აღმოსავლეთისკენ გასაქანს თავისუფალ ვაჭრობისთვის. მეორე,—არ შეგვიძლიან აღმოსავლეთის საკითხის მამოძრავებლად ისტორიული მისია—დამონებულ ქრისტიანთა განთავისუფლება ჩავთვალოთ. ყოველი სახელმწიფო თავის მიზანს ემსახურება, მას თავისი სარგებლიანობა ამოძრავებს, ამიტომ მის საგარეო პოლიტიკაში ძლიან იშვიათად შევხვდებით სანტიმენტალურ სურვილებს. რასაკვირველია, არის შემთხვევები, როდესაც ერთი სახელმწიფო მეორის საშველად გამოდის, სახელმწიფოთა შეკავშირებაც ხშირია, მაგრამ მათს პოლიტიკას ყოველთვის უტილიტარული სარჩული უძევს. თავის სარგებლიანობის გარეშე გამოსარჩლება ან ვისიმე დახმარება გონიერმა სახელმწიფო პოლიტიკამ არ იცის. არის კიდევ ვასსალური დამოკიდებულება, ან სუვერენული, როდესაც ერთი სახელმწიფო იცავს მეორეს, მაგრამ ეს მოვლენანი სულ სხვა კატეგორიისანი არიან. რუსეთს კი, რადგან ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიანების ვასსალური დამორჩილება თავის დღეში არ უფიქრია, ამიტომ მართალი უნდა იყოს კარანოვიჩი, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს, რომ იდეალური დანიშნულება რუსეთისა აღმოსავლეთში ხშირად მეორე საფეხურზედ ჩამოდიოდა, ოსმალოს ქრისტიანების ინტერესები ხშირად მეორე ხარისხოვანნი ხდებოდნენ, და ეს ინტერესები თუმცა ეგოისტური, მაგრამ სამართლიანი მიზნებით იფარებოდნენ, რადგან რუსეთი ყოველთვის თავის სახელმწიფო სარგებლიანობაზედ ცდილობდაო.

თ. ბეგიაშვილი.

(შემდეგი იქნება).

**ჭიათურა.**

სამხედრო უწყება რეკვიზიციას უპირებს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს საელექტრონო სადგურის დინამო-მაშინას.

**თელავი.**

14 იანვარს ჩინებულად იდღესასწაულა აქაურმა ქართველობამ წმ. ნინოს დღესასწაული. მთელი დღით დაკეტილები იყო: კახეთის კავშირი, შემ.-გამ. ამხანაგობა, მომხმარ. საზოგადოება და თითქმის ყველა ქართველთა სავაჭრო-სახელოსნოები. ყველას ერთ წამს დაჰვიწყებოდათ დღევანდელი ჭირ-ვარამი, გაშლოდათ ყოველთვის დაღონებულ-დანაოჭებული შუბლი, სიხარულის ღიმი დასთამაშებდათ სახეზე და სიხარულითვე მიეშურებოდნენ, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისკენ, წირვაზე. ნაწირვევს წამოვიდნენ საკრებულო დარბაზში, სადაც გამართული იყო „ჭიქა ყავა". საღამოთი-კი გაიმართა ამავე დარბაზში ქართული საღამო. აუარებელი ხალხი დაესწრო. დიდის მადლობის ღირსნი არიან ახლად შემდგარ ქართველ ქალთა წრის ქალები, რომელთაც მოაწყეს ეს ჩვენი ეროვნული დიდებული დღესასწაული.

**ხ. ტეზერი.**

სოფ. ტეზერში (გორის მაზრა), 14 იანვარს მოხდა საკრედიტო ამხანაგობის წლიური კრება. გამგეობაში ყველა ორჯონიკიძეები ამოირჩიეს; ამორჩეულთ განაცხადეს, უხერხულია ყველა ორჯონიკიძეების ამორჩევა გამგეობაშიო, მაგრამ კრებამ მაინც ისინი დასტოვა, რადგან ვერ გამონახა უკეთესი კანდიდატები. გამოითქვა სურვილი მოქმედების გაფართოებისა, რისთვისაც ერთ მწევრთაგანს დაენიშნა 60 მანეთი თვეში.

— უკვე მოვიდა გუბერნატორისაგან ნებართვა მომხმარებელ საზოგადოების გახსნისა; წევრები ხალისიანად ეწერებიან და მოკლე ხანში მოქმედებას შეუდგებიან. საერთოდ განოფხიზლება ეტყობა ტეზერს. 400 კომლი იქნება ამ სოფელში და ამდენ ხანს 1 სასწავლებლის გახსნა ვერ მოუხერხებიათ; მაგრამ ამ ბოლო დროს შეიგნეს სასწავლებლის მნიშვნელობა და უკვე შეუდგნენ ზრუნვას სასწავლებლის დასაარსებლად. აზრადა აქვთ მიმართოს ხაშურის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების განყოფილებას.

**ბოლნისი.** (ბორჩალ. მაზ.)

საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ აქ სამრევლო სკოლა გახსნა.

**ფოთი.**

ფოთის დროებით სამხედრო პორტის უფროსმა ნება დართო მეთევზეებს თევზი დაიჭირონ ხოლმე სანაპიროებზე ოჩამჩირედან მოკიდებული შეკვეთილამდე და თვით ფოთის პორტის ახლო-მახლო.

**სოხუმი.**

აქ მოგვივიდა იაპონური ასანთი საკმაოთ კარგის ღირსებისა. კოლოფი რუსულ ასანთზე ორის კაპიკით ნაკლებად იყიდება.

**პეტროგრადი.**

ნინოობას, ქართულ მრევლის გახსნაზე, ქართულად მწირველნი ბრძანდებოდნენ: ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი პოლოცკელი, ანტონი გორელი, წინამძღვარი სტარო-რუსის მონასტრისა არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) და პეტროგრადის ქართველ მრევლის მღვდელი იოს. ჩიჯავაძე. მამა ჩიჯავაძე, მის განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო, უწმიდეს სინოდის მიერ მკერდის ჯვრით იქმნა დაჯილდოვებული. ქართველთა მრევლის გახსნა სავსებით მიტროპოლიტ პიტირიმის საქმეა. ამისთვის მისს ყოვლად უსამღვდელოესობას ბევრი უსიამოვნობაც გადახდა ვოლჟინის დროს.

## არტაანის ქართველ-მაჰმადიანები

არტაანის ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილების გამგეობის დავალებით დავიარე არტაანის და ჩალდირის საპოლიციო ნაწილში მდებარე სოფლები და შევკრიფე ბრძოლის დროს დაზარალებულ იქ მცხოვრებ ქართველებისა და ქართველ მაჰმადიანების შესახებ ცნობები. წარსულ წლის გიორგობისთვეში გავემგზავრე სოფლებ(ი)ს დასათვალიერებლათ.

სოფელში ჩამოსული ჩამოვხდებოდი ხოლმე ვინმე საპატიო ქართველ მაჰმადიანის სახლში, ვსთხოვდი დაეძახნა იმავე სოფელში მცხოვრებ ყველა საპატიოთ მიჩნეული ქართველ-მაჰმადიანის სახლიდან თითო უფროსი პირისათვის და როცა შეიკრიბებოდნენ, ჯერ დაწვრილებით გავაცნობდი ყველა იქ მყოფთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოქმედებას და შემდეგ რამდენიმე საპატიო პირის თანხლებით შევდიოდი მათს სახლებში, რომ ჩემივე თვალით დამენახა მათი მოძრავი ქონება და ოჯახური მდგომარეობა. თოვლიანი ქარ-ბუქის გამო, თითქმის ყველანი სახლში იყვნენ და თუ რამ საქონელიც ჰყავდათ, იქავე სახლში ებათ, ასე რომ მთელი მათი ქონება დაუმალავად შემეძლო ჩემის თვალით მენახა. ბევრი ამ ღარიბ ღატაკთა სახლი შედგება ქვების ყორესაგან აყვანილ ოთხ-კედლისაგან, ზევიდან დახურულია მიწით; ბევრ სახლს კარებიც არა აქვს, რადგანაც არტაანში თათრის ჯარის შემოსვლის დროს, უკან წამოსულ რუსის ჯარს, შეშის უქონლობისა გამო სახლები დაუნგრევიათ და ზოგისაც კარები ჩამოუღიათ და დაუწვამსთ. ბევრ ალაგას ასეთ დანგრეულ და უკარო სახლში შესვლის დროს წინ გზის მაჩვენებლად ერთი კაცი მიმიძღოდა, დანარჩენნი უკან მომყვებოდნენ. ერთ სრულიად ბნელ და ნესტიან მიწურ ოთახში, სადაც ფანჯრის უქონლობისა გამო, სინათლე საკომლედან შემოდიოდა, იქავე კუთხეში ნესტიან კედელზე პატარ-პატარა ბოძებით მიკრული იყო, ფიცრების უქონლობისა გამო, ჯოხებისაგან გაკეთებული ერთი განიერი და მოკლე ტახტი, რომელზედაც ეყარა სქლად თივა და სახლში მყოფთა საგებ-სახურავი ეს იყო. სახლის კედელზე აყოლებულ ღია ბუხარში, თუმცა წვის მყრალი და ბოლიანი ცეცხლი ენთო, მაგრამ მაინც შესამჩნევად ციოდა, სახლში მყოფნი, ნამეტნავად ბალღები, თითქმის სრულიად ტიტველ-შიშველნი, შეკოსხდომოდნენ ბუხარს ც ცეცხლთან თბებოდნენ. იქვე მათთან ახლოს დაძონძილ-დაკონკილ ტანისამოსებში გახვეული ცოლ-ქმარნი ისხდნენ და დაღონებულნი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ სრულიად არ გველოდნენ და რომ დაგვინახეს, შეკრთნენ: მამაკაცი გაფითრებული წინ შემოგვეგება, ცოლი კი თავსახურავით პირისახის დამალვისთანავე შეშინებულად „უჰ, უჰ"-ს, ძ ხილით ადგა და სწრაფად იქვე კუთხეს მიეყუდა; ბავშვებიც წივილ-კივილით დედას მიეკვრნენ.—დამშვიდდი, დაო, დამშვიდდი, ნუ გეშინიანთ, თქვენთან მეგობრათა ვარ მოსული,—ვამშვიდებდი მე, მაგრამ მაინც კანკალებდნენ, ეშინოდათ ჩემი.

— „ყორხმა, ყორხმა",—გაისმა სახლის პატრონის ხმა და ისინიც დამშვიდდნენ. დავათვალიერე მთელი მათი სახლი, ზოგს სრულიად დახეულ-დაფლეთილი და მტვერიანიბათ ჩამოკიდებული ჭუჭყიანი ორი თუ სამი საბანი და ერთი ან ორი აგეთისავე სახის ნალები ჰქონდა და ზოგს ისიც არა. იქავე ებათ ზოგს ერთი ძროხა და ზოგს ორი, ბევრს მათგანს სულაც არა ჰყავდა. სახლის დანარჩენ ავეჯეულობას შეადგენდა: ერთი უბრალო ყუთი, რომელშიაც ერთი, თუ ორი ფუთი, ზოგან მეტი და ზოგან ნაკლები, ქერის ფქვილი ეყარა. ყუთზე ერთი თაბახი იდო, ორ-სამ ადგილას დაკერებული, იქავე ყუთთან იდგა ორიც ხის სურა. აი, ომისაგან დაზარალებულ ზოგიერთ ქართველ მაჰმადიანის სახლი.—განა ასე ღარიბათ იყავით ბრძოლის დაწყებამდე?—შევეკითხე. —არა, წინეთ კარგად ვიყავით: 30—40 სული მსხვილფეხა საქონელი გვყავდა, 200—300 სულიც წვრილფეხა, 15—20 წყვილი საგებ-სახურავი გვქონდა, 10—15 ხალიჩები, სახლის მოწყობილებაც კარგა ბლომადა გვქონდა, მაგრამ წაგვართვეს.

— როგორ თუ წაგართვეს? ეგ შეუძლებელია! აქ ხომ თათრის ჯარი არ მოსულა?—გავიკვირვე მე. — მართალია, აქ თათრის ჯარი არ ყოფილა და რომ შემოსულიყვნენ, გარდა საჭმელებისას, არას წაიღებდნენ. რაც გვიყო, ახალქალაქელ და არტაანელ სომხებმა და ადგილობრივმა ბერძნებმა გვიყვეს; თუ რამ გვებადა კარგი სახლში, ჩვენს თვალთა წინ იტაცებდნენ; თუ ვეტყოდით რასმე, სასიკვდილოდ გაგვიმეტებდნენ, ბევრი ჩვენგანი სოფლებშივე მოჰკლეს წინააღმდეგობისათვის. ჩვენი საქონელიც იმათ წაასხეს. ბოლოს, რაც გადარჩათ, მათ მიერ მოყვანილ ყაზახებმა წაგვართვეს და მას მერე ვართ ასე ტანჯულ-წამებულნი, ვწვალობთ, შრომით წელზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ თუ რამ ვიშოვეთ, ისიც ჯარსა და პოლიციელებს მიაქვთ. ნამეტნავად პოლიციელებს სრულიად არ ვებრალებით: გვცემენ, გვტყეპენ და თუ რამ გვებადია, ქრთამად გვართმევენ,—დააბოლოვეს სიტყვა ჩვენმა თანამოსაუბრეებმა. ჩა-რის ნაწილში რამოდენიმე სოფელში ცალ-ცალკე შეიკრიბნენ ღარიბები, შეძლებულ(ე)ბით ერთად თავისუფლად დაუსწრებლივ, და მთხოვეს:—ჩვენ ვიცით, რომ თუ აქამდე სიცოცხლე შევგრჩა, სულ ქართველების წყალობითაა, ისიც ვიცით, თუ როგორ შრომობენ და ცდილობენ ისინი ჩვენს სასარგებლოდ, და რადგანაც აქაც მობრძანდით, გეტყვით ჩვენს გულისტკივილს, მხოლოდ ნუღარ დაგვახელებთ, რომ ჩვენ გითხარით, თორემ ნაწილის უფროსი და მისი ცოლი ცოცხლებს გაგვიმწარებს. ჩვენის ნაწილის უფროსი თუნდა სულ უბრალო საქმისათვის ქრთამსა გვთხოვს, შეძლებულნი აძლევენ, ჩვენ რა გვაქვს, რომ მას მივსცეთ. ამიტომ არას აგონებს, გვცემს, გვლანძღავს, ჩაფრებს ნებას აძლევს როგორც უნდათ, ისე იმოქმედონ ჩვენთან. ისინიც ტყავს გვაძრობენ; როცა მივალთ მასთან სათხოვნელად, ის ხშირად მთვრალია, გამოვა მისი ცოლი, მოგვვარდება, ით პირუტყვს, გვლანძღავს, გვაგინებს, ნაწილის სამმართველოს ახლოსაც არ გაგვაკარებს: დაიკარგენით, თქვე ძაღლის ლეკვებო, თქვენთვის ბატონს არა სცალიანო, და იქავე ჩვენთან ხელის მდგარ შეძლებულთ ხელს ართმევს, ეფერება, ეპატიჟება სახლში და ჩვენ კი ცემა-ტყეპით გვერეკება ნაწილის სამმართველოს დერეფნიდან. თუ რამ შეგიძლიანთ, სთხოვეთ ბ. ოლქის უფროსს, გადაიყვანოს ის ჩვენი ნაწილიდან, ეყოფა, რაც ჩვენა გვტანჯა და გვაწვალა, ისიც ეყოფა, რაც გვემა და ფულები წაგვართო. წარმოიდგინეთ, გამოგვიგზავნის ჩაფარს და შემოგვითვლის, ამდენი ერბო შენ მოგზავნეო, იმან ამდენი ქათმებიო, იმან კიდევ ამდენი კვერცხებიო და სხვა. რა ვქნათ, თუ ჩვენი არა გვაქვს, სხვას უნდა გამოვართვათ და გავუგზავნოთ, მეტი გზა არ არის.—როგორ თუ რა ჰქნათ!?. ვუთხარი მე, უფროსთ ოლქის უფროსთან, ის პატიოსანი კაცია, მოწყალეა საწყალთა, მაშინვე დასჯის, სხვაგან გადაიყვანს.

—ვიცით, ვიცით, რომ ოლქის უფროსი პატიოსანი კაცია, შემბრალებელი ჩვენი და მამა ღარიბ-დავრდომილთა, მაგრამ, რომ ვუჩივლოთ, ამ ნაწილის შეძლებულები ჩვენს წინააღმდეგ წავლენ, მიემხრობიან ნაწილის უფროსს და ჩვენ გავმტყუნდებით, მერე არ გინდა სოფელში ცხოვრება? ცალკე მამასახლისი შეგვჭამს და ცალკე კიდევ შეძლებულები, ნაწილის უფროსი ხომ მოგვისპობს სიცოცხლეს და თვითონ ოლქის უფროსიც, რომელსაც ისე შევყურებთ, როგორც მოსიყვარულე შვილები მამას, ჩვენზე გულს გაიტეხს და აი, რისა გვეშინიან,—ერთხმით მიპასუხეს გლეხებმა.

— არა, არა, თქვენ ნურასი გეშინიანთ, მიდით მასთან, უთხარით, ყველაფერს მოგისმენსთ, შეგისრულებენ კიდეც თხოვნას,—ვარწმუნებდი მათ, მაგრამ ისინი უარზე იდგნენ.— თუ რამ შეგიძლიანთ, თქვენვე გვიშველეთ— იმეორებდნენ ერთხმივ ყველანი.

აქვე მომყავს სტატისტიკური ცნობები, შეგროვილი არტაანისა და ჩილდირის საპოლიციო ნაწილებში ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრებიდან.

**არტაანის საპოლიციო ნაწილი**

1) **სოფ. ქვედა-ტიკანი.** მახმუდა ომარ-ოღლი ელიკაძე, 55 წლისაა, ქართულად ლაპარაკობს, თავს ქართველად აღიარებს. ერთი ვაჟიშვილი და ოთხი ქალი ჰყავს. ღარიბია, საჭიროა დახმარება. შვილებს ყველას სიხარულით აძლევს სკოლაში.

2) **სოფ. ქონკი.** რაჯიბ შირინ ოღლი-კორტაშვილი, 45 წლისაა, შვილები არა ჰყავს, ქართველობს. შეძლებულია ცოტათი.

3) **იქიდანვე.** მოვლუდ ჯოშხუნ ოღლი (სახლში არ იყო), მისი ქართული გვარი სხვებმა არ იციან, სოფელ კოთელიდანაა, ახალქალაქის მაზრა, ერთი ვაჟი და ორი ქალი ჰყავს. უფროსი შვილი 18 წლისაა, ქალები: ერთი 8 წლისა, მეორე 6-სა. დედამ სურვილი განაცხადა შვილების სკოლაში მიცემაზე. ღრიელ ღარიბია, შემწეობის აღმოჩენა აუცილებელია.

4) **იქიდანვე.** ობლები მოვლუდის ძმისა: სადო რეშიდ ოღლი 10 წლისა, ცხოვრობს უმცროს ბიძასთან, რომელსაც შემწეობის აღმოუჩენლივ შეუძლიან იცხოვროს. სადოსი ბიძამ თავშესაფარში მიცემაზე სიამოვნებით სურვილი განაცხადა. თვითონ სადოს ბიძა 25 წლისაა, ერთი გოგო ჰყავს 2 წლისა.

5) **ხ. გუგუბა.** თეიმური კადირ ოღლი-წითლანაძე 70 წლისა, წმინდათ ლაპარაკობს ქართულს, კილო ლაპარაკისა და სახე ნამდვილი ქართველისა აქვს. თეიმურს ორი ვაჟი ჰყავს. უფროსი ცოლიანია, ორი ვაჟი და სამი ქალი ჰყავს; უფროსი ვაჟი 10 წლისაა, მუნჯია, მეორე 4 წლისაა, გოგო ერთი 6 წლისაა, მეორე 5-სა და უმცროსი 6 თვისა. მეორე შვილი თეიმურისა უცოლოა, 21 წლისაა. სახე ყველას ქართული აქვთ. თავს ნამდვილ ქართველადა სცნობენ. შეძლება საკმარისად აქვსთ. ცხოვრობენ ერთად.

6) **იქიდანვე.** ბინალი ჯოშხუნი ოღლი წითლანაძე, 28 წლისაა, ცოლიანია, ერთი ვაჟი სამი წლისა ჰყავს. მათი ძველები ქართველები ყოფილან, მოსულან ს. ალარადან (ახალციხის მაზრა), თავისი გვარი ნამდვილად არ იცის, ამბობს წითლანაძე უნდა ვიყოვო. თავს ბუნდოვნადა გრძნობს ქართველად.

7) **იქიდანვე.** ამფურ ოსმან საფარ ოღლი—65 წლისაა, ორი ვაჟი ჰყავს, ორივე ცოლ-შვილიანებია: უფროსს ორი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს, უფროსი ვაჟი 8 წლისაა, უმცროსი 3 სა, ქალი კი 4 წლისაა. უფროს შვილს სიხარულით აძლევს სკოლაში. თავისი გვარი არ იცის, გადმოსულა ს. ალარადან, მისი გვარისანი დღესაც ალარაში სცხოვრობენ, ზოგი მათგანი ქართველებია, თვითონაც თავს ნამდვილ ქართველადა სცნობს. ამფურის უმცროს შვილს ერთი ვაჟი ჰყავს—3 წლისაა. ერთად ცხოვრობენ. შეძლება საკმაოდა აქვთ.

8) **ს. ჩაის ტურეცკი.** ჩალდირის ნაწილი. ხალილ-მამედ ოღლი-კონაევი—50 წლისაა, ორი ვაჟი და ერთი გოგო ჰყავს. უფროსი ვაჟი ჯალილ 22 წლისაა, უმცროსი მიშური 12-სა, ქალი 6 წლისაა. ქართული არ იციან. თავს გვარის მიხედვითა გრძნობს ქართველად. მიშურს სკოლაში აძლევს.

9) **ს. წყაროს-თავი.** ალა-შარიფ ოღლი-საღირიძე 55 წლისაა. ქართული არ იცის, მაგრამ თავს ნამდვილ ქართველადა გრძნობს. სახე ნამდვილი ქართველი თავადიშვილისა აქვს. ძრიელ მდიდარია. კანარბელის საზოგადოების მამასახლისია. ხუთი ვაჟი ჰყავს: უფროსი 30 წლისაა, მეორე—22-სა, მესამე—17-სა, მეოთხე—12-სა სწავლობს არტაანის პირველდაწყებითი უმაღლეს სკოლაში, ძრიელ უნდა ალაშარიფს ამისი შეყვანა თავისი ხარჯით თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, რომ ქართველად აღიზარდოს, შარშან პატივცემულ ალექსი ჭეჭინაძეს თხოვნა გაუგზავნა ამის მიღებაზე, შემდეგ მე მთხოვა დახმარება, მეც კერძოდ მივწერე წერილი როგორც კარგად ნაცნობ პირს, მაგრამ არც მე და არც ალას პასუხი არ მოგვსვლია; ალა ამის შესახებ თბილისშიაც წასულა წრეულს, მაგრამ, როგორც უენო კაცს, (რუსული არ იცის) ვერა გაუწყვია-რა და უკან მოვიდა, დღესაც იხვეწება, თუ ორი არა, ერთი მაინც მიიღონ ქართველებმა თავიანთ გიმნაზიაში ჩემის ხარჯით, რომ დაიბრუნოს თვისი დედა-ენა უკანა და ხელი მიმითითა მის სახლის წინ ამაყად მაგარ, ჯერედ დაუნგრეველ, უზარ-მაზარ, თამარისაგან აშენებულ ეკლესიაზე, რომელიც დღეს მეჩეთია.— განა შემიძლიან ამის მაყურებელს გულ-გრილად ვიყო ჩემ წინაპართა ენასთან. ბევრჯერ მოვდივარ ხოლმე ამ ეკლესიის კედლებთან და დაღონებული ვფიქრობ ჩემს წარსულზე, მაგრამ რა, მე უსწავლელი კაცი ვარ, არა მესმის რა და სხვები კი არას მეუბნებიან. მისწერეთ თქვენ, ეგების მიიღონ ჩემი შვილები ქართველებმა მათს გიმნაზიაში. უკანასკნელ შემთხვევაში, მიჩუქნია ქართველებისათვის ორივე ჩემი შვილი, რაც უნდათ უყონ",—სიბრალულის ხმით წარმოსთქვა ალამ უკანასკნელი სიტყვები. მეხუთე შვილი ალისი 8 წლისაა; სიხარულით განაცხადა: თუ ღმერთი მომასწრებს არტაანში ქართულ სკოლას, მაშინვე შევიყვანო. ალას უფროსი შვილი ცოლიანია, ერთი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავს, ვაჟი $1^1/_2$ წლისაა, ქალი 4-სა. ყველანი ერთად ცხოვრობენ. ალამ მომავალ-ქართულ სკოლას ჯერ 10 მ. შესწირა, შემდეგ მე ვიცი, რასაც შევწირამ, თუ გაიხსნაო. ალამ არტაანის ოლქის უფროსსაც სთხოვა დახმარება შვილის დასახელებულ გიმნაზიაში შეყვანაზე, მაგრამ ოლქის უფროსმა ბ ნ ჯავრიშვილმა მე მომანდო.

10) **იქიდანვე.** ხორენ შარიფ ოღლი (უფროსი ძმა ალა შარიფისი) 65 წლისაა, ერთი ვაჟი ჰყავს 33 წლისა, ამას 7 წლის ვაჟი ჰყავს. აძლევს სკოლაში. თავს ქართველადა გრძნობს. ქართული ლაპარაკი არ იცის, სახე ქართველისა აქვს.

**კ. ოდიშარია.**

(შემდეგი იქნება)

## ძველ-სენაკის საამზნაურო სკოლა

ამას წინად ძველ-სენაკში (სამეგრელო) მომიხდა გავლა და მოვისურვე მენახა იქაური საამზნაურო სკოლა.

ეხლა ძველ-სენაკში ბევრი სკოლებია, და წინად კი საამზნაურო სკოლა ჰფენდა განათლების შუქს მთელს სამეგრელოს. იქ სწავლობდნენ სამეგრელოს თავად-აზნაურობის ბავშვები პირველ ანბანს და იქ ემზადებოდნენ სხვა და სხვა სკოლების პირველ კლასისათვის.

შევედი სკოლაში; დილის თერთმეტი საათი იქნებოდა; ბავშვები კლასებში ისხდნენ და მეცადინეობა გაჩაღებული იყო, მაგრამ ერთ კლასიდან ძალზე დიდი ხმაურობა გამოდიოდა. გრძელი დერეფანი გავიარე და ძალა-უნებურად იმ კლასს მივადექი; კარი შევაღე და ცხვირ-პირში მომეჩქეფა მტვრის კორიანტელი, უპატრონოდ დატოვებულ ბავშვებს რომ დაეყენებინათ. მათ სტუქსავდა გაწიწმატებული და აჭარხლებული ქალიშვილი, რომელისაც გაანცებულ ბავშვებს არა ესმოდათ-რა; ალბათ იმიტომ იყო ზოგი დაჩოქილი და ზოგიც კუთხეში ფეხზე გაჩერებული. გამოვიკითხე და გავიგე, რომ სკოლის გამგე ბ-ნი პ. ლორთქიფანიძე, სამი დღის წინად სადღაც წასულიყო და ჯერ კიდევ არა სჩანდა; ხოლო თავის მაგიერ დაეტოვებინა გამოუცდელი ქალიშვილი და ისიც მეოთხე (უკანასკნელ) განყოფილებაში, რომელიც ყველაზედ უფრო საყურადღებო და საპასუხისმგებლოა. ამასთან გავიგე, რომ ბ-ნი პ. ლორთქიფანიძე აწარმოებს მრავალ კერძო, უმეტესად, საკუთარ საქმეებს და იძულებულია კვირაში ორი სამი დღე მოსცდეს სკოლას და ღვთის ანაბარად დასტოვოს.

მოუვლელობა და უპატრონობა სკოლას ძალზედ ეტყობა. სკოლას დიდი ეზო აქვს, შიგ მინდორია ბავშვების სათამაშოთ, წინ უძევს სადეკორაციო მცენარეთა ბაღი, ვენახი, ხეხილის ბაღი და ბოსტანი. ყველა ამას უპატრონობა ეტყობა. ყველგან ეზოში, ბაღში თუ ბოსტანში,—ძროხები, ღორები, ბატები და იხვები ირევიან, ჯიჯგნიან და აოხრებენ ყველაფერს; არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ხე, არც ერთი ძირი ვაზი იქ პირუტყვისაგან დაცული და გაუფუჭებელი არ არის. გამოვიკითხე და, ნუ ბრძანებთ, თურმე, ეს ნახირი და ფრინველთა გუნდი ეკუთვნის თვით სკოლის გამგეს პ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც სკოლა საკუთარ ფერმად უქცევია. სკოლის ეზო, სადაც ბავშვები სათამაშოდ გამოდიან, ისე გაბინძურებულია პირუტყვთა და ფრინველთაგან, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ ითამაშონ ისე, რომ ერთიანად სიბინძურეში არ ამოისვარონ. ერთის სიტყვით, ვინც კი უნდა ნახოს, სკოლის მდგომარეობა, ყველას გული აუტირდება.

ასეთია სკოლის გარეგანი მხარე, რასაც არ შეუძლია მის შინაგან მხარესაც არ დაასვას ღრმა დაღი, და ეს დიდათ სამწუხაროა.

მე მინახავს ეს სკოლა, სამსონ ყიფიანის მიერ აშენებულ-გამშვენიერებული; ბ.ბ. წითლიძისა და ოყროშიძის გამგეობის დროსაც მინახავს, და უნდა აღვიარო, რომ რაც იყო სკოლა, იმასთან შედარებით ეხლა სწორეთ პარტახია. ნუ თუ შეიძლება ასე აბუჩად აგდება იმ დაწესებულებისა, სადაც ასწავლიან და წრთვნიან უსუსურ ბავშვებს? ნუ თუ შეიძლება ანგარიში არ მოსთხოვოთ იმ კაცს, რომელსაც დაავიწყდა, ან არა და ვერ ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას?

სად არიან სკოლის დანარჩენი მხახურნი? ამათ უნდა ამხილონ დამნაშავე, რათა სკოლა იხსნან სიბინძურისა და გახრწნისაგან!

**მგზავრი.**

## დაბა-სოფლებში

**ქიზიყი.** ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში მეორე ხარისხის მოლაშქრენი, რამაც ძალიან გაამწვავა ისედაც სავალალო სოფლის მდგომარეობა. ეს უკანასკნელი გაწვევა უფრო მეცხვარეებისათვის იყო საგრძნობელი, რადგანაც უმეტესი წილი მეცხვარეთა ლურჯბილეთიანი იყო. მეცხვარეების ძროხა-ცხვარი მინდორ-ველად, უპატრონოდ, ღვთის ანაბარათ დარჩა. ცხვრის ფარები უპატრონობისაგან ნოტიობათ დაყრუვდა და ლობ-ყურეს ედება მინდვრად.

ნუ თუ მთავრობამ არ უნდა გაითვალისწინოს, რომ სახლში აღარავინა გვშთენია და გარეთ. ვინ უნდა უპატრონოს ამდენ საქონელს?

დავრდომილმა მოხუცებულებმა და ბავშვებმა? რომ საქონლის პატრონობა და მოვლა მათ არ ძალუძსთ, ვგონებ, ყველასათვის ცხადია.

როგორც ყველამ ვუწყით, მეცხვარეობას თითქმის პირველი ალაგი უკავია ქიზიყ-კახეთში, მაგრამ, სამწუხაროდ, უპატრონობისაგან თითქმის გვესპობა იგი. თავიდან ამ უბედურების ასაცდენად დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს არჩეულნი მეცხვარეთა წარმომადგენელნი, რომელნიც უნდა წარუდგნენ მეფის ნაცვალს და სთხოვონ, რომ ორას-სამას სულ ცხვარზე ერთი კაცი მაინც იქმნეს განთავისუფლებული სამხედრო ბეგარისაგან (თუ არ ვცდებით, ამისთანა შეღავათი რუსეთში უკვე შემოღებულია).

იმედია, სულ ახლო მომავალში ქიზიყ-კახეთის მეცხვარეების წარმომადგენელნი ზემოდ აღნიშნულ საგანზე მეფის ნაცვალს წარუდგებიან და მოახსენებენ თავიანთ გასაჭირს და შველასა სთხოვენ.

**ვ. ათანელიშვილი.**

## შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. ს. ზუგდიდის განყოფილების გამგეობა დიდს მადლობას სწირავს ახუთის სოფლის მცხოვრებს ბ. ერასტო ივანეს ძე ჯიჯოლავას, რომელმაც მისი ძვირფასი მეგობრის განსვენებულ ნესტორ კოსტას ძე წულეისკირის სახსოვრად ერთ ჟამიერად ასი მანეთი (100 მ.) შესწირა ზუგდიდის ქართულ სკოლის ულარიბეს და უნიჭიერეს მოწაფისათვის სტიპენდიის დასაარსებლად და თან ყოველ წლივ ხუთ-ხუთი თუმანი აღუთქვა იმავე საჭიროებისათვის.

გამგეობის თავმჯდომარის მაგიერ
მღვდ. **ტრ. ჯოხთაბერიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდრო შანშიაშვილი**


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თფილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სად. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სად. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სად. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სად. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | სად. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სად. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სად. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | სად. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

## თევზის მრეწველნი
## ძმ. მეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4